

# საქართველო



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერალურ ნაბატონიანი გაზეთი გამოდის ქოველ კვირა დღეს  
№ 47 ნოემბერი 15 1898 წ. № 47

შინაარსი: თანამედროვე ქალაქის მოვალეობა ნ. ჟორდანიასა. — სხვა და-სხვა ამბავი. — „გვალის“ კორესპონდენციები. — გვირიდან გვირამდე. — საზღვარ-გარეთ. — ა. ს. ხახანაშვილის ახალი წიგნი (დასასრული) გ. წერეთლისა. — „ხა, ხა, ხა, რა სულელი ხარ! ..“ ეტიუდი შ. არაგვისპირელისა. — წერილი რედაქციის მიმართ და განცხადება

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

## თანამედროვე ქალაქის მოვალეობა.

### II.


როგორც პირველ წერილში ვთქვით, საზოგადო ცხოვრების გართულებამ, ახალ-ახალი მოთხოვნილებების აღორძინებამ ქალაქს ძალა დაატანა ძველი ინდივიდუალური მიმართულება დაეტოვებია და ახალი, სოციალური მიმართულება შეეთვისებია. რაში მდგომარეობს ეს? რა არის მისი საგანი? რა საძირკველზე არის ის აგებული? ყველა ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ თუ რა ძირითად თვისებებს შეიცავს თანამედროვე ქალაქი.

თანამედროვე ქალაქი იმით განიზიარება ძველი ქალაქებისაგან, რომ ის ერთი შესანიშნავი ნაყოფია კაპიტალისტური წარმოების, ის თვითონ კაპიტალისტური ქალაქია. აქ ცხოვრობს რამდენიმე ათი და ასი ათასი მცხოვრები, აქ ჩაღდება ყოველ ნაირი ხელობა, აქ ჩნდება ყოველნაირი საქმე; აქ შემოაქვთ ყოველ დღე ათას ფუთობით ნაირ-ნაირი სურსათი და ინთქება მყისვე, აქედან გააქვთ ურიცხვი დამუშავებული საქონელი და ეფინება მთელ მხარეს. ეს გატან-შემოტანა წარმოადგენს ერთ დაუსრულებელ

პროცესს დღევანდელი ქალაქისას. მის ხელშია სწრაფი მატარებლები, ტელეგრაფ-ტელეფონები — ყველა ის, რაც მას აახლოებს და აკავშირებს პროვინციასთან და უცხოეთთან. ეს გარემოება ქვეყნის ყველა კუთხიდან ხაღხს ქალაქებისაკენ ერეკება და ვიწრო ტერიტორიაზე თავს უყრის. აქამდის მიფანტულ-მოფანტული ადამიანები ერთათ გროვდებიან, ერთმანეთს ეცნობიან და რაიმე საერთო გზას ადებიათ. აი ეს არის იმ-ს მიზეზი, რომ მოწინავე ერთა უმრავლესობამ სოფელი დატოვა და ქალაქებში გაიჩინა ბინა. ინგლისელთა ორ-მესამედს მოქალაქენი შეიცავენ. გერმანიაში ამ საუკუნის დამდეგს მხოლოდ ორი ქალაქი იყო ასი ათასი მცხოვრებით (ბერლინი და ჰამბურგი), ხოლო დღეს კი 28 ქალაქია. ჩვენშიაც ამ მიმდინარეობას ვამჩნევთ, 1803 წლის აღწერით თვითლისის მცხოვრებთა რიცხვი 20,000 არ ასცოდებოდა, დღეს კი 160,000 სულს აჭარბებს. რაც შეეხება ბაქოს, ქუთაისს, ბათუმს და სხ. — ესენი ხომ ამ 50 წლის წინეთ უფრო სოფელს გვანდენ ვინემ ქალაქს. ერთი სიტყვით, თანამედროვე ქალაქის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ყოველ წუთში, ყოველ საათში ის თავის გულში ღებულობს და თავის გულიდან ისერის აუარებელ ნივთს მოთხოვნი-

ქ. ს. ჯუშის სახ. რ. სსრ  
სახ. რ. ავთო რესპუბლიკა.





ლებათა დასაკმაყოფილებლათ და აუარებელ ხალხს ამ ნიეთთა გასაკეთებელ-გასანაწილებლათ. და აი, ამ ხალხის და ნიეთის მოძრაობა წარმოშობს იმ ფართო ნიადაგს, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს საქალაქო პოლიტიკა. ამ საერთო მოძრაობის გაადვილება და ხელის შეწყობა არის ყველა გაწესრიგებული ქალაქის მიზანი და ლტოლვილება. აი, ამ თვალთახედვის ისარით აღვიჭურვოთ და მოკლეთ აენუხსოთ ქალაქის უმთავრესი საჭიროება.

ამ ხალხის უპირველესი და უსაჭიროესი მოთხოვნილება უნდა იყოს, რასაკვირველია, ბინა, სადგომი. საკმაო სადგომთა უქონლობა ან და სიძვირე მძიმე ტვირთათ აწეება საზოგადოების ყველა ნაწილს, განსაკუთრებით კი მცირე შეძლების პატრონთ. სადგომის სიციწროვე ძლიერია იქ, სადაც ხალხი ბევრი ეტანება, ხოლო ფული კი იმდენი არ ტრიალებს, რომ ყველა სააღებ-მიცემ საჭიროებას გაწვდეს. იმიტომ ძალა-უნებურათ ცოტა ფული იბანდება შენობების ასაგებათ. მეორე მხრით, ასეთ პირობებში ფული დიდ პროცენტებს იგებს, უბრალო ექსილის ქალაქსაც კი ძალი შემაჯკეს, და, რალა გასაკვირველია, ფულის პატრონი საწარმოვე საქმეებიდანაც ხელათ გამდიდრებას მოელოდეს. ამიტომ თუ მან სახლების აშენებით ფულის მოგება განიზრახა, უთუოთ მამა-სისხლათ უნდა გააქიროს, რომ ჩვეულებრივი პროცენტი მიიღოს. ორივე ეს კაპიტალიზმის პირველ ხანაში წარმოებს და ბადებს სადგომების მეტისმეტ სიძვირეს. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ევროპის ყველა ქალაქი და ასეთსავე მდგომარეობაში ვართ ჩვენ დღეს. სახლების ისეთი სიძვირე, როგორც არის თფილისში, ბათომში და ბაქოში, არ არის ლონდონში, პარიჟში ზ ბერლინში. ზ მეჩე რას ნიშნავს სადგომის სიძვირე? შეძლებულისთვის ეს არის ზოგ კულტურულ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა, ცოტა შემძლებელისთვის მრავალი ასეთი მოთხოვნილების გაუქმება, ხოლო შეუძლოსთვის ყოველივე კულტურული ცხოვრების უარისყოფა. და მართლაც, იქ, სადაც წარმოება სუსტია და მაშასადამე შემოსავალიც მცირე, ხოლო მიუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება კი ძვირი, ვანა რივან, ევროპიულ ცხოვრებაზე ლაპარაკი შეიძლება? დაათვალიერეთ ისეთი ბაბილონის გოდოლი, როგორც ლონდონია და მეჩე გაიარ-გამოიარეთ ამ ჩვენ თფილისშიაც, და ნახეთ რომ იქ არც ერთი ადამიანი სარდაფში არ ცხოვრობს, აქ კი სარდაფი გამხდარა ერთათ ერთ სადგომათ არა მარტო მუშათათვის, არამედ ბევრ ჯამაგირიან მოხელეთათვისაც. ვიწრო, ნოტიო და ცივი ბინა—აი ხედრი თფილელთა დიდი უმრავლესობისა. ერთ ოთახში იძინებს ხშირათ მთელი ოჯახი

და მისი სტუმრები. გასათხოვარი და გათხოვილი, ცოლიანი თუ უცოლო, დიდი და პატარა—ყველა ერთმანეთში არეულ დარეული—აი ზნეობრივი სახე ვიწრო სადგომის. ავთამყოფობა, სიმახინჯე, უღონობა და სისუსტე—აი ფიზიკური შედეგი ვიწრო სადგომის. დაცემა ზნეობრივათ, გადამახინჯება ფიზიკურათ ამის პირდაპირი შედეგია. ამას თან ახლავს, რასაკვირველია, გონებრივი დაჩლუნგებაც. ეს ხალხის ჯანმრთელობის განადგურებაა, ეს ერის სისალის შერყევაა. მარა ხალხის ასეთი გათახსირება—ეს ხომ ეროვნული ძალ-ღონის გათახსირებაა, ეს ხომ სახელმწიფოს ბურჯის წაქანებაა. და აი, ამიტომაც ევროპის კანონმდებლობმა და მოღვაწეებმა ეს კითხვა ერთ უდიდეს საჭირ-ბოროტო კითხვათ დასახეს. ამიტომაც, საზოგადოების და საზოგადო დაწესებულებებს მოწოდება არის ეს კითხვა გაარკვიოს, გამოიძიოს ზ მის გადაჭრაში ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა მიიღოს. და რომელი დაწესებულებაა ამ საქმეში დაინტერესებული თუ არ ქალაქის თვითმართელობა? სადგომის მოთხოვნილებათა გაწეს-რიგება მისი უწმინდესი და უპირველესი მოვალეობაა. მას შეუძლია ამ საქმეში ჩაეროს სამი გზით: პირველათ, როგორც მეთვალყურე და პლანის დამცველი; კერძო პირთ არ ანებებს ცუდ და ჰიგიენურათ მოუწყობელ შენობების აგებას; უკრძალავს დაზიანებულ სახლებში ცხოვრებას ზ ზოგ ძველ, დანოტიოვებულ, ჯანმრთელობის გამანადგურებელ სახლებს სრულიად ანგრევეს. მარა ეს საკმარისი არ არის იქ, სადაც კერძო თაოსნობა სუსტი და მილეულია. საჭიროა არა მარტო თვალყურის ჭერა, არამედ სადგომების გამრავლებაც. და აი, აქ ქალაქი თვითონ ჰკიდებს ხელს ამ საქმეს და აშენებს სახლებს ზავოდ-ფაბრიკების ახლო-მანლო, სადაც მუშა-ხალხი ტრიალებს. შენობები უნდა იყოს ნამდილი, თანამედროვე და არა რალაც ყაზარმისებური, როგორც ბათომშია. აქ ქალაქს არც მოგება უნდა ჰქონდეს სახეში და არც ქველ-მოქმედება, ის უნდა ლებულობდეს იმდენ ქირას, რომ ფულის კანონიერ პროცენტს ისტუმრებდეს, მორჩა და გათავდა. მესამეთ, სადგომების გათავება და გამრავლება შეიძლება აგრეთვე მიმოსვლის გაადვილებით. ცნობილია, რომ ხალხი უფრო ქალაქის შუაგულ-ალაგას ეტანება, აქ აქვს საქმე და აქ სურს ცხოვრებაც. ამიტომ აქ საშინელი ძვირია ბინები. მარა თუ მათ განაპირა უბნებში გადაიყვანთ და საშუალებას მისცემთ სწრაფათ და იაფათ ცენტრში მოვიდეს, ცხადია, აქ გათავდება სადგომები და იქ გამრავლდება. ამისათვის კი საჭიროა რკინის გზები (ცხენის, ელექტრონის, ორთქლის) და სხვა და სხვანაირი ომნიბუსები. თუ ევროპის დიდ ქალაქებში სადგომები იაფია, უმთავ-



რესათ მიმოსვლის გადავლებების წყალობით. მაგ. ლონდონელი ან ბერლინელი საქმის კაცის ბინა 5 — 10 ვერსტით არის მოცილებული თავის სამუშაო სახლზე. ყოველ დილას და საღამოს ეს მანძილი უნდა გაიაროს. ეს მას სრულიად არ უჭირს, პირიქით ადგილის გამოცვლა მას კიდევაც ახალისებს და ართობს. ქალაქის რკინის გზებმა მოახდინა ცხოვრების დეცენტრალიზაცია, ქალაქის ყველა უბნები დაუახლოვა და გაუთანასწორა ცენტრს. ამან შეამცირა სადგომების სიფიწროვე. ბერლინის თითო სახლში, ორთა შუა რიცხვით, 1890 წ. ცხოვრებდა 54,9 სული, ხოლო 1895 წ. კი 52,9, თუმცა მცხოვრებთა საერთო რიცხვმა დიდათ აიწია. თფილისის განაპირა ნაწილებთან (მაგ. დიდუბე, ნავთლული და სხ.) რომ სწრაფი მიმოსვლა იყოს გამართული, უეჭველია იქ მრავალ სახლებს წამოჰკამედენ და ქალაქის ხალხი იქ იცხოვრებდა. ერთი სიტყვით, ქალაქის მიმოსვლის გაწეს-რიგებას, მის გაიაფებას და გადავილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებაში. ამ ნაირათ, იაფი, მშრალი და ჰიკიენური სადგომები ერთი მხრით, იაფი და ჩქარი მიმოსვლა მეორე მხრით — აი, თანამედროვე ვითარებამ რა საზრუნავი საქმე გაუჩინა ქალაქს. მარა სადგომის კითხვასთან შეკავშირებულია სხვა მრავალი კითხვებიც. შენობების განკარგებისაგან არა გამოვა რა, თუ შვწმინდა ჰაერი არ ტრიალებს, საკმაო სინათლე არ აქვს, სასმელი წყალი და საწმინდი არხები არ მოეპოვება და სხ. აქედან, მიუცალეებელ საჭიროება: შეადგენს არხები, მილის წყლები, მოკირწყლულ-მოფენილი და წმინდა ქუჩები, განათება და სხ. ამას გარდა სადგომის კითხვაზე დამოკიდებულია მიწა-ადგილის და გადასახადების კითხვაც. ის მამული, რომლის ღირებულებამ აიწია პატრონის სრულიად დამოუკიდებლათ, მხოლოდ იმიტომ რომ ქალაქი გაიზარდა და გაიწია, დაბაჟულ უნდა იქმნას გაცილებით მეტათ, ვინემ ის, რომლის ღირებულება თვით მესაკუთრემ ასწია თავისი შრომით ან და ნაყიდობით. მაგ. ამ ოცი წლის წინეთ ყორღანოვის მამული (ვერაზე) ჩლის ფასათ იყო, და ყორღანოვმაც ეს მუქათათ შეიძინა (ირაკლი მეფემ აჩუქა), ხოლო დღეს მისდა დაუკითხავათ, მისი ხელების გაუნძრევლათ, იგივე მამული მამა-სისხლათ გადაიქცა და იქ აგებული სახლებიც დაძვირდა. ეს ზედ-მეტი შეძლებათ ტყუილ უბრალოთ, უშრომლოთ, მიწის პატრონს უცეივა ჯიბეში, თუმცა ეს ქალაქის საკუთრება უფროა, ვინემ მისი, ვინაიდან მისი მოვლენას მიზეზი ქალაქია და არა ის თვითონ. აი, ასეთ მამულებისაგან მეტი გადასახადის ალება ნიშნავს სხვა გადასახადების შემცირებას. ეს აგრეთვე შეამცირებს მიწების სამაგალითო სპეკულიაციას და პატრონსაც შეაჩევს

იმ აზრს, რომ მის საკუთრებაში წილი უდევს საზოგადოებასაც...  
 ყველა ამასთან მკიდროთ შეკავშირებულია სურსათის საქმეც. იაფი და საღი საქმელ-სასმელი — ეს ერთ საჭირ-ბოროტო საგნათ გადაიქცა ამ ჩვენ ფალსიფიკაციის საუკუნეში. ამ ფულის ხანაში, როცა ყველა მონდომებულია სიმართლით თუ არა, სიყალბით მიანც, ორიოდ გროში მოიგოს, სურსათს გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინემ ეს წინეთ იყო საჭირო. საზოგადოება მოვალეა თავის ჯანმრთელობაზე იზრუნოს. ამიტომ სურსათი, როგორც კი ქალაქის საზღვრებში შემოვა, სასტიკ ზედა-მხედველობას უნდა დაექვემდებაროს და გაგრძელდეს მანამდის, სანამდის ის მოხმარებული იქნება. ის, როგორც უწყით, სოფლიდან შემოაქვთ; მაშასადამე სოფელი და ქალაქი პირის-პირ დგება ბაზარზე. ორივეს სურს ამ ალებ-მიცემობიდან მეტი დაინარჩუნოს: ქალაქის ინტერესია იაფათ დაუჯდეს სოფლის ნაწარმები. ამისათვის კი საჭიროა მისი მომუშაება და მოტანა სოფელსაც იაფათ უჯდებოდეს. ცხადია სოფლის ტენიკურ განვითარებას, მისი სწრაფი მიმოსვლით ქალაქთან დაკავშირებას — ქალაქის პირდა-პირი სარგებლობა მოითხოვს. კახეთის რკინის გზა თფილისის ძალიან ბევრს შეძენს და თუ ის მხოლოდ თავად-აზნაურობის სადავიდარბოთ გამხდარა, ეს ამტიციებს ჩვენი ქალაქის დაქვეითებას და თავის მოვალეობის შეუგნებლობას. წავიდეთ ქვევით საკმარისი არ არის ნაწარმების ქალაქში ჩამოტანა, საჭიროა მისი ყიდვა-გაყიდვის გაწეს-რიგებაც. ვინც თფილისის ბაზარზე დილა ადრიანათ გასულა, ის დაინახავდა თუ ჩარჩები როგორ გლეჯენ და ძალათ ართმევენ საწყალ სოფელს თავის ნაშრომს. იქვე დგას გულხელ-დაკრფილი ქალაქის წარმომადგენელი და მხოლოდ აღნიშნავს საქონლის რაოდენობას და ბაჟს იღებს. ამკარაა, ქალაქი ასეთი ქცევით ამ შეუბრალებელ ცარცვა-გლეჯას ხელს უწყობს და აკანონებს: ჩარჩმა სოფელი უნდა გაატყავოსო. მარა ის იმავე დროს ქალაქსაც წვდება და იაფათ შეძენილ ნივთს ძვირათ აძლევს. და ასე მაწარმობელს და მომხმარებელს შორის უთვალავი შუა-კაცები ჩამდგარან და ორივეს ტყავს აძრობენ. ქალაქის მოვალეობაა აი, ეს ჩარჩები მოსპოს და შუამავლობა თვითონ გასწიოს; ააშენოს განსაკუთრებით სურსათის „სკლადები“ და საბაზრო სახლები, დაეხმაროს სოფელს და ქალაქელს რიგთან ვაჭრობაში და მით ისინი ერთმანეთს დაუახლოვოს. ასეთი საბაზრო მოქმედება ქალაქს შეძენს იაფ და საღ საქმელ-სასმელს, ხოლო სოფელს მეტ ღონეს და შეძლებას.

ნ. ყორღანოვი.



სხვა-და-სხვა ამბავი.

ღმ თვის 22 ქვემო მაჩხაანში მოხდება ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. კრების საგანია: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების დღევანდელ მდგომარეობის შესახებ; 2) საზოგადოების შენობის საქმე; 3) გამგეობის ერთი წევრის არჩევა, ნაცვლათ ჩიგოგიძისა, რომელმაც უარი განაცხადა წევრობაზე; და 4) მსჯელობა საზოგადოების გაუმჯობესობის შესახებ.

რამდენიმე კაპიტალისტს განზრახვა აქვთ თფილისს ზე კოჯორს შუა ელექტრონის რკინის გზა გაიყვანონ. გზა დაჯდება ნახევარ მილიონზე მეტად.

თფილისის გუბერნიის 1627 სოფლის საზოგადოებას ჰქონია ფულათ სახელმწიფო ბანკის შემნახველ კასაში 1,126,322 მანეთი და 40 კაპ. ამას გარდა სოფლის მალაზიებში შენახული აქვთ: 87,764 ფუთი პური, 13,626 ფ. ფეტვი, 2,124 ფ. ქერი და 430 ფ. სიმინდი.

მთავრობა ბაქოს თვითმართველობის საქმეთა რევიზიასაც შედგომია.

ვაზ. „კავკაზის“ სიტყვით წელს ბორჩალოს მაზრაში 2,078,265 ფუთი პური მოსულა, 3,941,168 ფუთი — ქერი, 18,776 ფუთი — ქვაფი, 14,584 ფ. — შერია, 2,000 ფ. — სიმინდი, 696 ფ. — ფეტვი, 121,144 ფ. — ასლი, 8,400 ფუთა — ბრინჯი და სხვა. საზოგადოთ წელს ბორჩალოს მაზრაში კარგი მოსავალი ყოფილა; მხოლოდ ამ მაზრის 11 სოფელი დაზარალებულა სეტყვისაგან. ეს ზარალი 113,338 მანეთამდეა თურმე.


თფილისში დაარსდა ერთი საქველ მოქმედო დაწესებულება, სახელწოდებით „შრომის მოყვარეობის სახლი“. ამ ქვამათ აქ მუშაობს 30 კაცი, ამათში 5 დედა-კაცს ბინაც იქავე აქვს, ხოლო სხვები მოდიან სამუშაოთ. მუშაობა იწყება დილის 8 საათიდან. პირველ საათზე ყველა ერთათ სადილობს განსაკუთრებით სასადილო ოთახში, სადაც აძლევენ თბილ საქმელს — ხორცს და პურს. ცოტა შესვენებას შემდეგ ხელ-ანლა იწყებენ მუშაობას, რაც საღამოს 8 საათამდის გძელდება. შემდეგ აძლევენ ჩაის და პურს. თითო მუშის შენახვა დღეში ჯდება 15 კაპ. რაც მისი ნაშრომისაგან იფარება. თუ ეს ნაშრომი ამ ფულს აღმატება, ზედ-მეტს ხელში აძლევენ მუშას.

„კავკაზის“ სიტყვით უწმინდეს სინოდს გადაუწყვეტია: სოხუმის ეპარქიის იმ ადგილებში სადაც რუსები სახლობენ წიწვა ლოცვა რუსულათ სრულდებოდეს, სადაც აფხაზებია იქაც რუსულათ, მხოლოდ ლოცვები უნდა გადაითარგმნოს აფხაზურათ; ხოლო მეგრელებს სამრევლოებში ღედელ-მოქმედება უთუოთ ქართულ-ხუცურათ უნდა შესრულდესო.

12 ამ თვეს ქართულ თეატრში ბაბო ავალიშვილის სასარგებლოთ წარმოდგენილ იქმნა „სიულოვან“ ანუ „სიყვარული და ცრუ მორწმუნობა“ მეღვილისა და „სცენები მიროვოი სუდიასთან“ კეზელისა. წარმოდგენას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო, თეატრი თითქმის სავსე იყო. რაც შეეხება არტისტთა თამაშს, უნდა ვთქვათ რომ უცხო ცნობრებიდან აღებული როლების შესრულება მათ სრულებით არ ეხერხებათ. ამისათვის საჭიროა იმ ხალხის ზნე-ჩვეულებების ცოდნა, რომელიც სცენაზე არის გამოყვანილი, და აბა საიდან ეცოდინება ეს ჩვენ არტისტებს. და ამიტომაც სცენაზე გვეყურებოდა ინგლისელი ჯენტლემენტა სიტყვები, ხოლო ქცევა და მიმოხერას კი თფილისურს ეხედავდით. მხოლოდ კ. მესხს და ვ. აბაშიძეს ვმჩნევდათ ინგლისური ქცევისთან დაახლოება, რომ აქა იქ არ გადაეჭარბებიათ. ბ. კანდელაკი უფრო პამპულასა ჰგავდა, ვინემ ლონდონელ მდიდარ სოვდავარს. ბ. შათირიშვილი შესაფერი იყო თავის როლში; ის ნამდვილ ევროპიელ ზერელე ბულვარდელს მოგვაკონებდა. ქალებში არა უშავდა კარკარეთელს, რომ შესაფერი ჩაცმულობა ჰქონებოდა. ქ ბ-ნი ჩერკეზოვისა ვერ გვიბატავდა ინგლისელ ხანში შესულ დედა-კაცს. ისეთ ნაირათ არ იბტუნავენ და არც ისე სხაპა სხუპით მოგაყრის სიტყვებს ინგლისელი დედა-კაცი, როგორათაც ამას ჩვენი არტისტი ქალი შერებოდა. ერთი სიტყვით, ნათარგმნი პიესების თამაშობა უძნელდებათ არტისტები თავს თავისუფლათ ვერ გრძობენ, რალაც ძალდატანება ვმჩნევთ. ამასთანავე, სუფლიორაც ძალიან ყვიროდა, რაც მოწმობს იმას, რომ მოთამაშეებმა როლი არ იცოდენ. რაც შეეხება „სცენები მიროვოი სუდასთან“ — ეს უკეთესი იყო არ დაეღვათ...

საფ. ხადისთავიდან (გურია) გვწერენ: ეს რამდენი ხანია აქაური საზოგადოება თხოვს აქაურ ბლალოჩინს: დაგვიყენეთ ამ ჩვენ სამრევლო სკოლაში ერთი ისეთი მასწავლებელი, რომ ყოველ დღე ასწავლიდეს ჩვენ შეილებს და ხარჯი რაც გენებოთ მიირთვიეთ, თვარა ახლანდელი მასწავლებელი ოროლი კვირაობით აკლდება სასწავლებელს და ბავშვებიც ტყვალა უბრალოთ გვიცდებოდა...





„კვალის“ კორესპონდენციები.

ქ. ქუთაისი. ქუთაისში დღეს ყველას „კონკა“ აკერია პირზე. საითაც არ გაივლი, ყოველი მხრიდან „კონკის“ შესახებ გესმის საუბარი. ქალაქის საბჭოსაც თითქო ყველაფერი დაუფიქრია და მის უკანასკნელ კრებებზე სულ „კონკის“ შესახებაა სჯა-ბასი. 12-ს, 19-ს, 20-ს და 26 ოქტომბერს კრება სულ ამ საჭირობოროტო საგნის განხილვაში იყო, მარა დასასრული ჯერაც არა ჩანს.

ცხენის რკინის გზის შესახებ აქ კი ხანია ლაპარაკი არის, მარა საქმე აი რა შიამა:

საარჩევნო გამარჯვებას შემდეგ ქალაქის თავს რითიმე უნდა გაეკვირებინა, აელაპარაკებინა ქალაქის მკვიდრნი. და აი, კიდევ. როგორც პატივცემულ მკითხველებს მოეხსენებათ, მის პირველ დებიუტზე გადაწყდა „კითხვა“ წყლის გამოყენისა, კონკისა და საავთმყოფოს დაარსების შესახებ. საბჭოს გადაწყვეტილებას გაეკვირვებით მაინცა და მაინც ბევრი არაინ გაუკვირებია, მარა ალაპარაკებით კი მართლა ყველანი ალაპარაკა. რა თქმა უნდა საბჭოს გადაწყვეტილება ძლიერ სასიამოვნოა, სამივე ფრიად სიმპატიური და სასარგებლო საგანია, განსაკუთრებით წყლის გამოყენა და საავთმყოფოს დაარსება: უცილებელ საჭიროებას შეადგენს დღეს ქუთაისისათვის, მარა ასრულებას არ იტყვიან? საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქისთვის დასარჩებოდა და, გეურქას ანდერძისა არ იყოს, ვერც ერთი გადაწყვეტილების განხორციელებას ჩვენ ვერ ველირსებოდით, რომ საბედნიეროთ საიდანაც ბ. არზუმანიანი არ გაპოგეჩნოდა, რომელმაც წინადადება მისცა საბჭოს: ნება მომეცით გავაკეთო ქუთაისში ცხენის რკინის გზა და ვაწარმოო ამ ხნის განმავლობაში (30 წელ.) ამა და ამ პირობებითა.

ბ. არზუმანიანის პირობები ქალაქისათვის მაინცა და მაინც სამძიმო არ აღმოჩნდა და საბჭოც სინხარულით მიეგება მის წინადადებას. ორი კრება საბჭომ ბ. არზუმანიანის პირობების განხილვას მოაწოდო. პირველ კრებაზევე ხმოსანმა ს. თოფურიაიმ განაცხადა: ჩემის აზრით უმჯობესა იქნება ცხენის რკინის გზის გაყენა ისევე ქალაქში მიიღოს თავის თავზე და ამასთან მოძრაობა ცხენების ძალის საშეღებით კი არ უნდა იქნეს, არამედ—ელექტრონით, რადგანაც ცხენები ჩვენ, ისედაც უსუფთაო ქუჩებს სულმთლათ გააბნძურებენ და სანიტარული მხრივ ქალაქს დიდ ენებას მოუტანენო.


ხმოსანი ს. თოფურიას სიტყვებს მიემხრენ ბ. ბ. დ. ნაზაროვი, ვ. ჭილაძე და სხვები, მარა, რადგანაც ელექტრონის ტრამეის გამართვა, ქალაქის ტენიკის ანგარიშით, ძლიერ ძვირათ, ორას ათას მანეთამდე

ჯდება, ამ აზრს თავი დაანებეს და ისევე ბ. არზუმანიანის პირობების განხილვას შეუდგნენ ზოგიერთი მუხლი არზუმანიანის პირობისა შეუცვლელათ დატოვეს, ზოგი შეცვალეს, დანიშნეს ქუჩები რომლებზედაც უნდა გაიყენონ ცხენის რკინის გზა, ნიხრიც დააწესეს... ერთი სიტყვით თითქმის ყველაფერზე შეთანხმდნენ და ის იყო საქმე არზუმანიანის სასარგებლოთ უნდა გადამწყდარიყო, რომ ამ დროს ერთმა ხმოსანთაგანმა კრებას მოახსენა: მე ნამდვილი წყაროდან შევიტყე, რომ თვითოეული ვერსტი ვაგონებით და ყოველივე მოწყობილებით ჯდება არა უმეტეს 12,000 მანეთისა. ლუკა გაეარდეს—ჯამში ჩაეარდესო! რალა უცხო კაცს ვაძლეეთ ამ კონცესიას, როცა ჩვენ შიამო მოიპოვებინა ისეთი პირობები, რომელნიც სინხარულით აიღებენ ამ საქმეს და არზუმანიანსზე უარესათაც არ შეასრულებენ. ამის პასუხათ ბ. ქალაქის მოურავმა ბძანა: მე ეს სამი წელიწადია ვეჩინებო აქაურ შეძლებულ კაცებს ამის შესახებ, მარა არა გამოვიდარა. ეს საქმე ძლიერ დიდ თანხას ითხოვს და მე ვეჭვობ, რომ აქაურმა ვინმემ შეიძლოს მისი შესრულება. კიდევ რომ შეიძლოს, ჩენთვის სულ ერთია, არზუმანიანი აიღებს ამ საქმეს, თუ სხვა ვინმე აქაური. ვისმე აქაურს რომ მიეცეთ, ის სხვა და სხვა შეღავათის თხოვნას დაგვიწყებს და საქმე გაგვიძნელებო.

ხმოსანმა თავ. თუმანიშვილმა განაცხადა: ასეთ მძიმე საქმეს აჩქარება არ მოუხდება. ეთხოვთ ბ. მოურავს შემდეგ კრებაზე წარმოგიდგინოს ანგარიში თუ რა დაჯდება დაახლოებით ცხენის რკინის გზის გაყენა. თუ იმ ანგარიშის მიხედვით საბჭო შესაძლებლათ ცნობს თავის თავზე მიიღოს ცხენის რკინის გზის გაყენა, იმ შემთხვევაში სხვა და სხვა კონცესიონერების პირობების განხილვაში დროს აღარ დაეკარგავთ და თვითონ შეუდგებით ამ საქმის შესრულებასო. კრებამ ერთხმათ მიიღო თავ. თუმანიშვილის წინადადება და ქალაქის მოურავს დაავალა შემდეგი კრებასათვის ანგარიშის დამზადება. უკანასკნელი, 26 ოქტომბერს, კრებაზე ბ. ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს საკმაოთ დაწერილებით ანგარიში ცხენის რკინის გზის გამართვისა. როგორც ბ. მოურავის ანგარიშიდან ჩანს, თვითოეული ვერსტის გაკეთება დაჯდება არა უმეტეს 12,000 მანეთისა. ბ. ქალაქის მოურავის ანგარიშის მოსმენის შემდეგ ზოგიერთი ხმოსანების მოთხოვით კრებას წაუკითხეს ინჟინერ ბ. მიხაილოვის განაცხადება, რომელიც კისრულობს ელექტრონის ტრამეის გამართვას.

ბ. მიხაილოვის პირობების მოსმენამ საბჭოში დიდი კამათი გამოიწვია. უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ეს საქმე თითონ ქალაქში აიღოს, ჯერჯერობით ცხენის რკინის გზა გამართოს, ხოლო შემდეგ, თუ





საშუალება ექნება, ელექტრონის ტრამვაითაც ადვილათ გადააკეთებდნენ. ეს საქმე რომ კონცესიონერს გადაეცეთ, შემდეგ მის გამოყენებას ჩვენ ვეღარ შევიძლებთ. ვისარგებლოთ იმ ქალაქების მწარე გამოცდილებით, რომელთაც თავი კონცესიონერებისათვის დაუმონებიათ და, თუმცა დღეს ძალიანაც ცდილობენ ამ მონობას როგორმე თავი დააღწიონ, მარა ვერაფერი მოუგვარებიათ. ჯობია საქმე ახლაც ისე მოვაწყოთ, რომ ბოლოს სანაწურათ არ გაგვიხდესო.

ზოგიერთები კი ამტკიცებდნენ, რომ, როგორც ბ. ქალაქის მოურავის ანგარიშიდან ჩანს, ამ საქმიდან ყოველ დღიურათ თუ 100—120 მანეთი არ შემოვიდა, ქალაქს ზარალის მეტი სარგებლობა არ ექნება. ასე დიდი შემოსავალი ამ ჩვენ პატარა ქალაქში ძლიერ საეჭვოა, სანიტარული მხრივაც ცხენის რკინის გზა ქალაქისათვის მავნებლათ იქნება, რადგანაც შემომატებული ცხენები ჩვენ, ისედაც უსუფთაო ქუჩებს სულმთლათ გააბინძურებენ. ამისთანა ზოგიერთების მოსაზრება, თითქო ცხენის რკინის გზის რელსები, ვაგონები და სხვა მოწყობილება ელექტრონის ტრამვისათვის ადვილი გადასაკეთებელია, უსაფუძვლოა. ამიტომ უმჯობესია კონცესია ბ. მიხაილოვს მიეცესო.

ზოგიერთი კითხვების გამოსარკვევათ კრებაზე შემოიწვიეს ინჟინერი ბ. მიხაილოვი, რომელმაც საკმაოდ ვრცელ სიტყვაში კრებას განუმარტა ელექტრონის ძალის საშუალებით მოძრაობის უპირატესობა ცხენისაზე და ამასთან აუხსნა სრული გამოუსადეგობა ელექტრონის ტრამვისთვის, როგორც ცხენის რკინის გზის ვაგონებისა, ისე რელსებისა.

როცა ბ. მიხაილოვს შეეკითხნენ, თუ რა დაჯდება დაახლოებით ელექტრონის ტრამვის გამართვა, მან კრებას ასე მოახსენა: ეს საქმე ისე დად ხარჯს ითხოვს, რომ მე მოგების იმედი არა მაქვს. თუ ვიღებ ამ საქმეს, მხოლოდ იმ იმედით, რომ საბჭო ახლო მომავალში ქალაქის განათებასა და წყლის გამოყენებასაც მე მომანდობს. თუ ეს ასე მოხდა, რაც ტრამვის გამართვაზე ხარჯი გამიფა იმაზე მაინცა და მაინც ბევრის დამატება აღარ დაჰკრდება და საქმეც კი მოგვებიანი იქნებაო.

კამათი კი ხანს გაგრძელდა, ვერაფერს გადაჭრილს ვერ დაადგენ, ამ საქმიდან ქალაქს ზოგი ოქროს გორებს უქაღიდა, ზოგი კი დაღუპვას. ბოლოს, როგორც ამისთანა შემთხვევებში ჩვეულებათა მიღებული, საქმე კომისიის არჩევით გათავდა. წინეთ არჩეულ კომისიის წევრებს მიუმატეს თავ. თუმანიშვილი და დაეჯერეს გამოიკვილონ, თუ რა დაჯდება ელექტრონის ტრამვის გამართვა და სხვა წვდელი ამ საქმისა. ამ საქმის გამოსაკვლევათ და ანგა-

რიზის შესადგენათ კომისიას დაუნიშნეს ვადათ 16 ნომერი, რა დღესაც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ეს საქმე.

ნაწინა.

სოფ. ჯაპანა (ოზურგეთის მაზრა), მდებარეობს ლანჩხუთიდან ათი ვერსტის მანძილზე. ეს სოფელი თავისთავით განიყოფება სამ ნაწილათ: ს. ფიჩორი, თავი ჯაპანა და ტობათი ს. ჯაპანა მდებარეობს ნიგოთის საზოგადოების გვერდში, მაგრამ ს. ამაღლების საზოგადოებას სამამასახლისოს ეკუთვნის; ეს უკანასკნელი კი ათი ვერსტით არის დაშორებული ს. ჯაპანაზე, ს. ჯაპანას და ამაღლებას შუა ამართულია ნიგოთის მთა, რომელზეც გადასვლ-გადმოსვლა ორმოცი ვერსტის მანძილის გავლას უდრის. ს. ჯაპანა, გურისის სხვა სოფლებთან შედარებით, სამწუხარო სურათს წარმოადგენს; აქ ადგილ მდებარეობაც სხვა-ნაირია, გზაც სხვა-ნაირია და ადამიანის მიმართულებაც სხვა-ნაირია, ერთი სიტყვით აქ პირველ შესვლაზედვე იტყვიან, რომ ეს სოფელი უსათუოთ ღეთისაგან და კაცისაგანაც დავიწყებული ყოფილაო. აქ დინახავთ თითოეულ ეზოს სხვა და-სხვა უსარგებლო ხეებით დაბურულს; აგრეთვე დინახავთ გზის პირას ჭაობში ჩამდგარ დამპალ ტლაპოს, რომლის სუნი გამკლავ-გამომკლავს სულს უხუთავს. ამას მიუმატეთ მარცხნივ მდებარე ძველი ნარიონეის დამპალი წყლის სუნი და ამასთანავე შიგ ჯაპანლების მასაზრდოებელი თევზბერც. მაშინ იმედა, მკითხველო, არ გეუცხოებათ, რომ გაუწყოთ ამ სოფლის ამოწყვეტის გზაზე დადგომა. რომ ს. ჯაპანა დიდი ხანია შედგომია ამოწყვეტის გზას ამა ქვემოხსენებული ციფრებიდან დავინახავთ: ამ სოფელში ოთხმოცამდე კომლი კაცი ითვლება; ამათში ოცი ჩამოსახლებულია.

1892 წელში დაბადებულა ამ სოფელში 7 ქალი და 4 ვაჟი; სულ—11 სული. ხოლო გარდაცვლილა 17 ქალი და 14 ვაჟი; სულ 31 სული.

1893 წ. დაბადებულა 6 ქალი და 7 ვაჟი, სულ =13.—გარდაცვლილა 7 ქალი და 7 ვაჟი სულ = 14 სული.

1894 წ. დაბადებულა 10 ქალი და 9 ვაჟი = 19 სული; გარდაცვლილა 9 ქალი და 13 ვაჟი = სულ = 22 სული.

1895 წ. დაბადებულა 9 ვაჟი და 7 ქალი = 16. გარდაცვლილა 8 ქალი და 3 ვაჟი = 11 სული.

1896 წ. დაბადებულა 8 ქალი და 2 ვაჟი = 10. გარდაცვლილა 12 ქალი და 9 ვაჟი; სულ = 21.

1897 წ. დაბადებულა 6 ქალი და 8 ვაჟი; სულ = 14. გარდაცვლილა 9 ვაჟი და 8 ქალი; სულ = 17. სულ ექვსი წლის განმავლობაში დაბადებულა 83 და გარდაცვლილა 116-ტი, ე. ი. ექვსი წლის



განმავლობაში 33-ტი კაცი თ მეტი გარდაცვლილა, ვინმ დაბადებულა. აქედან ცხადათ ჩანს, რომ ჯაპანლებს წლიურათ აკლდებათ 5, ხან 6 კაცი და თუ ამ წლიდან მოკიდებული ს. ჯაპანაში არ ჩამოსახლდენ სხვა სოფლებიდან, იმ შემთხვევაში ამ სოფლის მთლათ განადგურებას უკლია კიდევ დღეიდან 16 წელიწადი. ნუ თუ ეს სოფელი არ არის ყურადღების ღირსი?! ნუ თუ ყველასაგან დასაფიწყია ის?! აქაურ მცხოვრებთ არავითარი კავშირი და მსეოლობა არა აქვთ სხვა სოფლები მცხოვრებთან. აქ წერა კითხვის მკოდნეს, გარდა სამღვდლო-პირისა, ვერსად შეხედებით. ჯაპანლების კლუბი ერთათ ერთა დუქანია, სადაც ლაზლანდარობით და ლანძღვა-კიცხვით დროს ატარებენ; ზრდილობა, მისხრა მოხერა და პატიოსნება იმ ზომამდე დაცემულა, რომ თითქმის ერთი მეორეს გამარჯობასაც აღარ ეუბნებიან; რა დროსაც უნდა შეხვიდეთ ამ სოფელში თავ-გახეთქილ კაცს ყოველ დროს ნახათ. სწავლა-განათლება რა არის არც კი იციან. თუმცალა აქ, მართალია, ბ. ლეონტი ჯიბლაძე (ლიაკვანი) ძალიან მეცადინობს, მაგრამ არ იქნა ვერ მოახერხეს რომ ჯაპანლებმა შეილები სასწავლებელში მისაცემათ გაიძეონ. ამ სოფელში შესვლისათანავე ერთი ახალი გალახული კაცი შემხვდა და შემომჩივლა.

— რათ არ წახვალ, მეზობელო, და სამართალს არ ითხოვ-მეტი, ვკითხე მე. — „ოჰ, ბატონო, მომიგო მან, ჩემთინ სამართალი თეთრი შაშვა; ვისა აქვს შე დალოცვილო იმის ღონე!.. მე ამოტენა მთა გადავკოპნ-გადმოვკოპნო კი არა აქ ძლიეს დავეთრევი; ან, რომც გადავეთრიო, რა ხეირია, ტყუილათ ნაწულევი შემომავგება ფეხზედ! . . . . .“

შეხვედი მეორეს, რიამელმაც შემომტირა: „ბატონო, იმ კაცმა ღორიც მომიკლა და ლანძღვა-გინებით დედ-მამის ძელებიც აღარ დამიყენა მიწაში, მაგრამ რა უჭირს!.. თუ გამაუფლები და ვდიე სუდში, ხომ მაინც წივებსე ზედ, თვარა და მჯეკნის იგი კაცი და ქია.“

ჯაპანა ამდღებიდან მხოლოთ ხარჯის ამკრეფს და სხვა მოხელეებს თუ იხილავს, თვარა სხვას არავის.

ამ სოფლის აუცილებელ საქიროებას შეადკენს: 1) მისი ნიგოითის საზოგადოებაზე მიწერა, მაშინ მთავრობას გაუადვილდება იმისი ბეალ-ყურის დევნება; 2) გზის შეკეთება და ჰაერის გაწმენდა, რამდენათაც ეს შესაძლებელია და 3) ექიმის ხშირათ გამოგზავნა ხალხის დასათვალისწინებლათ.

ტ. ანთქელაძე.

კვირიდან კვირამდე

ამ საუკუნის მოგონებანი — სონუნი კვანტი (სანმა) — შედაგოგოური რეფორმა — ნუ დაავდებ მკელსა გზასა — საქველმოქმედო სამუშაო დღე.

ეს მეცხრამეტე საუკუნე ახალ-ახალ აღმოჩენათა საუკუნეა, რა და რას არ აღმოაჩენენ, რა და რას არ გამოიგონებენ ენა და პირი არ იტყვის, და ყოველთვის უფრო და უფრო გასაშტერებელს და გასაოცარს. ვინც რა უნდა თქვას, და მე კი ვიტყვი, რომ ჩვენი, ქართველების, გამოგონებანი თვით ამერიკელებისასაც კი გადაჭარბებს. რასაკვირველია, ისეთ წერილ რამეებზე, როგორც ტელეფონი, ტელეგრაფი და სხვა ასეთებია, თავს არ შევიწუხებთ, არა, ესენი ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენ სულ სხვა დარგში ვართ სახელ-განთქმული, ეს დარგი განლავს პარტიობა. ჰო და, რა ნაირ-ნაირ პარტიას არ შევქმნიოთ, რა აფერადებულ ჯგუფებს არ გამოვანობოროკებთ ქვეყანასა ზედა. აქაც, რასაკვირველია ისეთს არას ჩავედნეთ, რომ ვინმემ აზრი, იღვის პარტიობა და გეწამოს, არა, არა, ასეთი პარტიობა რა ჩვენი საქმეა, ეს რა ხელს მოგვეცემს. ხელის მომცემა და სარფიანი აი, ის კენჭობიას დას-დასობაა. და მოგვეცათ სიცოცხლე, ჩვენ აქ მარჯვე ვიყოთ, რამდენ კენჭს ჩავადებთ იმდენ პარტიას მაინც ვაფაჩნეთ, თუ მეტს არა, და ეს ხუმრობა მუშაობა! სულ ოფლს ვღვრიოთ, მწარე ოფლს...


\* \*

მარა, თურმე აქაც სასტიკი კონკურენცია ყოფილა. როცა ჩვენ, თფილელთ, გვეძინა, აკერ მეზობლებს, ბათომლებს, ლეიძებიათ და უმუშავეიათ, და ახლა ლამის არის ერთიანათ ვადაგვალაჯოს და ნიშანიც მოგვიგოს. თქვენ მანდ ვინა ყრინართ, ჩვენ ვართ რაცა ვართო! ვჭამეთ სირცხვილი, ეს გუშინდელი გამოჩევილი ქალაქი აღარ ხუმრობს! დღემ დის საქართველომ მხოლოთ შემდეგი პარტიები გამოიგონა: პარტია მეგრელების, იმერლების, კახელების და სხ. ბათომს ეს აღარ უკმარებია და ორიც ზედ მიუღვია: გურულების და ხონელების. არა, ეს „ხონელების“ მაინც გენიოსური მოსაზრებაა. მეგრელები კიდევ ჰო, შეიძლება „ნაცია“ არის, მარა ეს ხონელებიც თუ კიდევ ნაციას წარმოადგენდა — ეს აღარავინ იცოდა. იმედია მომავალი თაობა არ დაივიწყებს ბათომელთა ასეთ თავდადებულ მოღვაწეობას...

\* \*

და არც ქუთათურ პედაგოგთა მოღვაწეობას. აქ სათავად-აზნაურო სასწავლებელი ქალაქის განაპირას





სოციალი და სოციალები (რამეა და სოციალები).

გადიტანეს; აქო და კი ჰეირაო, მარა ბარემ სა-  
ლორისაჲურ წყელოთ, იქ კიდე უფრო კარგი ჰეირაო,  
თუ კი მარტო ჰეირთ შევლენათა ბეშებს ცხო-  
ვრება, ეს იაფო იქნება და მალეც ეს ჰეირთ კე-  
ბა—სწორეთ რომ აღდებული მოსაზრება და აქი  
არ დარჩა მიუზადეი, ახლა ფოთს შეშურება ქე-  
თოთურ მეცნიერთა გამოვირება და თითონაჲ ჰეი-  
რის ტენას შედგომბა, უძებნია, უძებნია და ბოლოს

უნახავს შესანიშნავი საგარეოკო აღელი რიონის...  
ქაობიან ნაზარასა (სუ დაიფიწყებთ რომ ჰაობები აქ  
დაე პატისცემაშია) და ერთი თავის სასწავლებ-  
ლი ზედ ჰაობზე წააოუსკულებია, მართალია წრემ-  
ბის ღრის ხშირთა საკურავი წყალი დეგბა მის ახ-  
ლო-მახლო, მარა ეს სასწავლებელი ზღვაისანთა  
სასწავლებელია და მასხადამე შეკირდისთვის ცურ-  
ვის სწავლა სპერია იქნება... მახლას!

თი, ეშმაკის კრძია და სამტრედელნი, მოგესენენ  
ბათ, სულის ხალხია, სამოხეს სანოლით ცებენ.  
ადენ და დაუქმეს ს მაცდრთა ზღუდე, შეუღდენ,  
ძველმურთა ჩენებურთა, სულის ცონინებას და ის  
სანატრული სამოხტე... სამეკორებში აღმოაჩინეს.  
გაჰალდა ლეინო კახურა... და ქვეყანამაც ბანი მისცა:  
ნუ დაადგენ ძველსა გასასა...  
\* \* \*


ერთი ახალი გზა თუღელ ქველმომქმედო  
გაქუფეთი, მოგესენებთ, რომ ზეერი ხალხი უსაქ-  
მოთ დებეტება, ზოგი ეერ შოულობს სამეშაოს და  
ზოგს კიდე ტყეღალით ყოღნა ურჩენია, და ი, რამდ-  
ენიმე კეთლის მყოფდებმა დაარსეს შრომის მოკე-  
რეობის საბო. აქ ხალხს ამუშავენს და არჩენენ.  
ჩინეს რა მოგახსენით და მუშაობას კი ნულარ  
იკითხეთ; ღლის 8 საათიდან საღამოს 8 საათამ-  
დის მუშა-ვაკი ოგლას ღენის და მერე შინ მარდს  
დასაძინებლათ. რასკვირვლია ეს საქველმომქმედო  
სამუშაო დღე ბეერ ფარკა-გვეღმებისა წაძოღებს,  
მარა ქველმომქმედია მიზანია ხალხს შრომა შე-  
ყვაროს და ეს არის აუვარდეს... და სადაღ სუეაუ-  
ლია, იქ ხომ რამე დათორული ანგარიში არ შეი-  
ძლებება, ამიტომ არც აქ არის ღლის ქარის ტკბარება.  
აქ შრომა და მოთმენა, ეინაიდან ნათქვამია „მოთ-  
მინებთა შენითა მუშა-ვაიე სული შენითა“.

ს ა ზ დ გ ა რ ა გ ი თ

ქრეფანანაში, დრე ფუსის საქმე ჯერ ისე მიე-  
ბაშა. დრეფუსი ისე ეშმაკის კურძულზე არის და  
არც იცის მის საქმე თუ ასე აღ აპარკა მთელი სა-  
ფრანგეთი, მთელი ქვეყანა; ვაჯებნის შროლით სკა-  
სკო სასჯავგროს გადაწყვეტილება. ის უკანასკნე-  
ლით იწერებოდა; ეს ხუთი წელიწადია თხოვნას თხო-  
ვნაზე ეუბნები მოაფორბას ჩემი საქმე გაღიშნულას  
და ერთი პასუხიც არ მიმიღია, და ახლა, იმეღ და-  
კარგულმა და სსოწარმთელმა, გადაწყვეტიტ აღარა-  
ვის არაფერი მიუწერა ჩემ ოჯახსაც აღარა, და ჩემი  
პატიოსნების დაცვას და ხელის აღდგენას ენაღბ-  
დილდულთეან საფრანგეთის ერის... ეს საქმე რაც  
უფრო უსაღედება თავის კანონიკ გზას, მით უფ-  
რო ჰეირების თავის მომგაძობებზე ხსნასთ, მით  
ნაკლებთა აღუღედებს სოფრანგეთს, ამგანთ პარტოტ-  
ფაშად და ინგლისელნი უფრო აღაპარკებთ, ეინემ  
დრეფუსი, ფრანგებს ადიღლით მოუწინებთ ერთი  
და აიგი საქმე...

კიდე ვადან-ვადობთან ჯავს სრულიად და-  
ხურვას. და რომ სასარგებლო დაწესებულების არა  
თუ აქეთიქით ტარება, არამედ დაკეტვც შეიძლე-  
ბა, ეს სამტრედელეებმა დაგვიბტკიცეს აქ მას ვასა-  
შინა ერთი საქთხველო დაარსეს, ერთხანს კი იკი-  
თხეს, მარა ჩქარა აღმოჩნდა, რომ კითხვა ჰყენ  
სულის მონაბერია, წიგნი, და განსაკუთრებთი ვახე-





**გეგმ. ნიკ.** პრუსიის მთავრობა შეუდგა სახელმწიფოს გამაგრებას. რაღაც ახალ კანონპროექტს ამზადებს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ; ხოლო სანამ შინაურთ „განადგურებდეს“, მანამდი თავის საზღვრებში უცხოელების განადგურება დაიწყოს. პოზიანიდან განდევნა ავსტრიის ქვეშევრდომნი პოლონელი მუშები, ხოლო პოლონეთიდან დანელები. ესენი სეპარატისტები არიან, და შინაურ პოლონელთ და დანიელთ აგვიჯანყებენო. დანიაში, განდევნილ დანიელთა სასარგებლოთ, ფულს აგროვებენ. მარა მეორე მხრით, ამათი განდევნა სოფლის მუშათა შემცირებას ნიშნავს, რაც ასე ანგრევს და ძირს უთხრის პრუსიის მეურნეობას. და აი, სიღეზიის მემამულეთა საზოგადოებამ დაადგინა: „ეიშუამდგომლოთ, რუსეთის პოლონელთა მუშები აქ დაასახლონო! აი, გერმანიის მემამულე თავის ინტერესებისათვის როგორ აპოლონელებს გერმანიას!

**შვიციტარიკა.** ავსტრიის დედოფლის მკვლელი, ანარქისტი ლუჩენი უკვე გაასამართლეს ვენეციაში და, რადგანაც აქ სიკვდილით დასჯა აკრძალულია, საუკუნო ციხე მიუსაჯეს. უეჭველია მკითხველსთვის საინტერესო იქნება თუ რაიანი ციხე არის ეს, და, საზოგადოთ, როგორ ეპყრობიან ტუსალებს ვენეცელები. 1894 წ. ჩვენ შემთხვევა გეგონდა დაგვეთვლიერებია ვენეციის სატუსალო და ის შთაბეჭდილება, რომელიც მაშინ მივიღეთ არასოდეს არ წაიშლება ჩვენში. სატუსალო მდებარეობს ძველ ქალაქში და შემოზღუდულია ორი მაღალი კედლით. ამ ორ კედელს შუა ამართულია სამ-სართულიანი ძველის-ძველი შენობა, რომლის პირველი სართული მიწაშია ჩამარხული და წარმოადგენს ჰაერ და სინათლე მოკლებულ დანოტიოვებულ სარდაფებს. გასულ საუკუნოებში სწორეთ ეს სართული იყო ტუსალებისთვის მარჩენილი, მარა ახლა მას იშვიათათ მიმართვენ ხოლო და თუ მიმართვენ დიდი დიდი ორი-სამი დღით, როცა ტუსალის სამაგალითო დასჯა საქრო იქნება. ჩვენ პირველათ მესამე სართულზე ავიყვანეს. ყველგან სამარისებური სიჩუმე იყო, მხოლოთ ერთი ოთახიდან რკინის რაკუნის მოისმოდა, საითკენაც კიდევაც ვაგსწიეთ, მარა შიგ შესვლის ნება არ მოგვცეს. კარი ჩაკეტილი იყო, მხოლოთ კარებზე ორი ჯუჯრუტანა ამოჭრილი, საიდანაც დაეინახეთ შემდეგი: რამდენიმე ტუსალი შემოხვევია სამჭედურს, ზოგი ცეცხლს აღვივებს, ზოგი რკინას აცხელებს და ზოგიც კრდემლით განურებულ რკინას ამა თუ იმ ფორმას აძლევს. იქავე დგას ორი ჯანდარმი და მათ მოძრაობას თვალყურს ადევნებს. მუშაობა არის ნელი, ეტყობათ მუშაობენ წინააღმდეგ მათი სურვილისა. მოისმის აგრეთვე საუბარი, მარა ესეც ძალიან დაბალი ხმით. მხლე-

ბელმა ჩვენ გაგვაფრთხილა, ჩუმათ იყავით, არ გააგებიოთ, რომ უჭკვრეტო, თვარა იფიქრებენ ეკების ჩვენ ნაცნობთაგანია და ძალიან შერცხვებათო. მათი ნამუშაური იყიდება და აღებული ფულის ერთი ნაწილი სატუსალოს სასარგებლოთ ჰიდის, ხოლო მეორე ნაწილი თვითონ მუშა-ტუსალებს ენახება და როცა სასჯელს გაათავებს აძლევენ: აი ფული და ცხოვრებაში რიგიანი გზა გაიკვლიეთ. აქ ყოველნაირი სახელოსნოა და ტუსალი ირჩევს რომელიც მას ეხერხება და ან რომლის სურვილიც აქვს. სამჭედურიდან წავედით ტუსალოთ ოთახების დასათვლიერებლათ, რაც იმავე სართულზეა ჩამწყვრიებული. თითოთ თითო ოთახი აქვს. ოთახი გარედან იყო დაკეტილი, ტუსალები კი ყველა სახელოსნოებშია დაფანტული. ოთახი ვიწრო და გვარიანი გძელია, აქვს ერთი დიდი ფანჯარა რკინის მოაჯირით; შიგ დგას ერთი რკინის კრაოტი, რომელზედაც ჩინებული ქვეშ-საკები აგია, ბალიშის პირი და ზეწარი წმინდაა, ეტყობა ხშირათ უცვლიან. იქავე ფანჯარასთან რკინის პატარა სტოლია კედელზე მიჭედილი, სტოლზე აწყვია რაღაც წინგები, საწერი ქალაღები და ძველი გაზეთის ნაგლეჯი. სანთელს და გაზეთების ახალ ნომრებს არ აძლევენ. დაღამდება თუ არა სახელოსნოები იკეტება და ტუსალები თავ-თავის ოთახებში მიჰყავთ დასაძინებლათ. დღეში ერთხელ შუადღისას ეზოში გაატარგამოატარებენ. კვირა უქმე დღეებზე მუშაობა არ არის. ასეთივე სანახაობას წარმოადგენს მე არე სართული, იმ განსხვავებით, რომ აქ ცოტა უფრო ბნელა და უფრო მძიმე დანაშაულის ჩამდენტ ამწყვდევენ. აგრეთვე მესამე სართულის ტუსალებს დასასჯელათ მეორე სართულში გადმოიყვანენ, ხოლო აქედან, დასაჯილდობლათ, იქით გადაიყვანენ. პირველ სართულში ჩვენ არ ჩავსულვართ, თუმცა იქ ჩასვალი კიბის რამდენიმე საფეხური კი ჩავაბიჯეთ, მარა, სიმართლე გითხრათ, შეგვეშინდა ეს ბნელოდა და თანაც მხლებელმა გითხრა იქ არავის არ ვამწყვდევთო. აი, ეს არის ვენეციის „კატორა“ და მისი ციმბირი. ამბობენ ახლათ გასამართლებულ ლუჩენის პირველ სართულში ჩამწყვდევენო, მარა ეს ძალიან საეჭვოა, თანამედროვე გრძობა და აზრი ვერ შეურიგდება ასეთ საშუალო საუკუნისებურ ტანჯვას.

— აი რა ჩვენება მისცა ლუჩენიმ სასამართლოს თავმჯდომარეს: თავმჯ.: თქვენ ხომ აღიარებთ, რომ განზრან ჩაიღინეთ ეს მკვლელობა? — ლუჩენი: დიაღ, მე მას ვუცდიდი, სადკისი იყიდე ლოზანში, ბებუთი ძვირი იყო. მე შინდოდა ერთი უმაღლესი პირის მოკვლა და არა უთუოთ ავსტრიის დედოფლის. — თავმჯ.: რამ გაიძულათ ასეთ მკვლელობისთვის? — ლუჩენი: სილატაკემ. — თავმჯ.: თქვენ არ იყავით სილა-



ტაკეში! — ლუჩ.: ახ! დედა-ჩემმა უარყო დაბადების-  
თანავე, მან მიმატოვა (ლუჩინი უკანონო შეილია).  
მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ რაწაირ ოჯახში გა-  
ვიზარდე. — თავმჯ.: ძალიან კარგ ოჯახში! — ლუჩ.:  
იქ არაფერი არ გააჩნდათ თავის შეილების გამოსა-  
კვებავათაც, არა თუ ჩემთვის. გარდა ამისა მე სულ  
2—3 თვის მეტი სკოლაში არ ეყოფილვარ, რაც  
ვიცი — ეს პარმას (იტალიაშია) ნაპოვნ ბავშთა თავ-  
შესაფარში ვისწავლე. — ...თავმჯ.: რატომ მოჰკალით  
დედოფალი? — ლუჩ.: ჩემი ცნობრებისთვის შური მე-  
ძია. — თავმჯ.: რას ელოდებოდი შექმდე? — ლუჩ.:  
სასჯელს. — თავმჯ.: არ ფიქრობდი, თუ რა ზიზღს  
იწვევს ის პირი, ვინც ვისმეს კლავს? — ლუჩ.: და განა  
თქვენ არ იცით, თუ რა ზიზღს იწვევენ ისინი, ვინც  
ათასწლოებით მუშა-ხალხს ყელეფენ? — თავმჯ.: თქვენ  
არ ნანობთ? — ლუჩ.: სრულდებათაც არა. — თავმჯ.: მამ  
კიდევ ჩაიდენდით ასეთ დანაშაულს? — ლუჩ.: მე ასე  
მოვიმოქმედებდი ყოველთვის.

**ჰოლანდია.** მთავრობის განკარგულებით ქ. ამ-  
სტერდამში დაარსდა შრომის შეიდი დაწესებულება,  
რომელიც შემდეგ შეიღ სხვა-და სხვა ხელობას შეი-  
ცავს: კალატოზობა, რკინის და ხის ხელობა, მკერვა-  
ლობა, ოქრომკვდლობა, ლაქია-მოსამსახურება,  
თამბაქოს წარმოება და სტამბა. დაწესებულებათა სა-  
განია: ა) შეკრება ცნობების სად რა სამუშაო იმო-  
ვება, ბ) მიცემა ცნობების შრომის იმ კითხვების  
შესახებ, რომელთაც მთავრობა ან საბჭო წარმოუდ-  
გენს; გ) მორიგება და პირობის შეკერა მუშათა და  
პატრონთა შორის; დ) გარჩევა მუშათა და პატრონ-  
თა შორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილებათა და მათი  
შერიგება გაფაცვის დროს. თვითოეული დაწესებუ-  
ლება შედგება ათი წევრისაგან. ამათში ხუთი მუშე-  
ბის წარმომადგენელია, მუშებისაგანვე არჩეულნი და  
ხუთი პატრონების, პატრონებისაგანვე არჩეულნი.  
თითო ხუთი წლით არის და შეიძლება ხელმო-  
რეთ იქმნას არჩეული. არჩეული უნდა იყოს არა  
ნაკლებ 30 წლისა, ორივე სქესის. ეს ათი წევრი  
ირჩევს თავის შორას ერთ თავმჯდომარეს და ორ  
პირს (ერთი მუშა და მეორე პატრონი უნდა იყოს),  
რომელნიც შეადგენენ საბჭოს. საბჭო აწარმოებს  
მომდინარე საქმეებს. ესენი სხდომის დროს საათში  
იღებენ 60 სანტიმს (22 კაპ.) ჯილდოს. ყოველსავე  
ხარჯს მთავრობა კისრულობს.

**სამათრამი.** კრეტის კუნძულზე სათათრეთის  
ბატონობა გაუქმდა. კრეტა, რომელიც ერთ დროს  
ერთ მილიონ ხალხს შეიცავდა და სადაც ეჭრობა —  
აღებ-მიცემობა ყვაოდა (ვენეციელების დროს), სა-  
თათრეთის ხელში დაეცა, განადგურდა და მცხო-  
ვრებთა რიცხვით დღეს 275 ათას აღარ წააცილებს.

ამათში 70 ათასი მაჰმადიანებია, რომელთა უმრავლესი  
სობა ბერძენთა ეროვნობისაა, დანარჩენი კი ქრის-  
ტიანი ბერძენებია. ამ უკანასკნელ 70 წლის განმავ-  
ლობაში კრეტელი ქრისტიანები არა ერთხელ აჯან-  
ყებულან სათათრეთის წინააღმდეგ, არა ერთხელ და-  
უნთხევით სისხლი თავისუფლებისათვის, მარა ყო-  
ველთვის ამათ. გასულ წელს კრეტისთვის ატყ-  
და ომი საბერძენთს და ოსმალეთს შორის და დიდი  
ქრისტიანი სახელმწიფოებიც გულ-გრილათ უც-  
ქეროდენ საბერძენთის დამარცხებას. სამაგიეროთ  
ამათ თავს იღვეს კრეტის საქმეების გაწეს-რეგება.  
გასულ თვეში ამათ სათათრეთი აიძულეს გაეყვანა თა-  
ვისი ჯარი კუნძულიდან და გაეუქმებია თავისი ად-  
მინისტრაციული წყობილება. კრეტის მმართველათ  
დანიშნის საბერძენთის მეფის შეილი გიორგი, რომ-  
ლის ხელშია აღსრულებითი უფლებები, ხოლო  
კანონმდებელია კრეტის პარლამენტი. პარლამენტი  
შედგება ქრისტიანთა და მაჰმადიანთა წარმომადგე-  
ნელთაგან. ოფიციალურ ენათ იხმარება ბერძნული.  
პოლიციას და ჯანდარმებს შეადგენენ უმთავრესათ  
ქრისტიანები, მათი უფროსნი ეეროპიელნი არიან.  
კუნძულის დროშაზე იქნება გამოსახული ჯვარი.

— სათათრეთის ხონთქარს ერთი გულითადი  
მეკობარი გაუჩნდა, სახელდობრ — გერმანიის იმპერა-  
ტორი. აი, რა ნაირათ დალია მან ხონთქარის სად-  
ლეგრძელო ქ. დამასკაში (პალესტინაში): „ვისურვებ,  
რომ ის 300 მილიონი მაჰმადიანი, რომელიც გაპ-  
ნეულია მთელ ქვეყანაზე, თავის ხეანთქარს აღმერ-  
თებდეს. დეე ისინი დარწმუნდენ, რომ გერმანიის  
იმპერატორი მუდამ მისი მეგობარი იქნება! .

**ბაზარი.** სიმინდის ფასმა დაიწია, ფუთი იკიდე-  
ბა ლონდონში 68 1/2 კაპ. პარკის ფასს ეტყობა ცო-  
ტა მომატება.

**ა. ს. ხახანაშვილის ახალი წიგნი**

საქართველოს სატყევეეუბის ისტორია, მეორე წი-  
გნი: ქველი საქართველოს ლიტერატურა მეთორმეტე  
საუკუნის გასკლამდე.

Очерки по истории грузинской словесности, вы-  
пускъ II. древняя литература XII в. Москва 1897 г.  
II.

ტყორი შედგ-მია ამ მეორე წიგნში ძველი ქარ-  
თული სიტყვეერების ნაშთთა განხილვას. როგორც  
ვიცი, წერილობითი ნაშთება ქართული სიტყვიე-  
რებისა ქართლის მოქცევიდან, ანუ მეოთხე საუკუ-

\* ) ის. „გადა“ № 45



ნიდან, იწყება. ამაზე აღრე, ესე იგი კერპთაყვანის მცემლობის დროის ქართული წერილობითი საბუთები ჯერ-ჯერობით ვერაფერს უპოვნიან. ა. ს. ხახანაშვილი იწყებს ამ უძველესი დროიდან წერილობითი სიტყვიერების ნაწარმების შინაგან მეთარმეტე საუკუნის გასელამდე და განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ისეთ ლიტერატურულ ფაქტებს, რომლებშიაც უფრო ნათლათ აღმოჩნატება ქართული ერის გონების განვითარების კვალი, მისი წარმატებითი მსვლელობა სხვა-და-სხვა ისტორიულ ხანაში. მეოთხე საუკუნიდან მოკიდებული მეცამეტე საუკუნემდის, რეაასი წლის განმავლობაში, შეინიშნება საქართველოში ერთი ვრცელი დიდებული ისტორიული პერიოდი ქრისტიანული კულტურისა, რომელიც შემოვიდა ბიზანტიიდან და ამოფხვრა საქართველოს ნიადაგზე ღრმათ ჩარჩენილი კვალი ჯერ უძველესი ეგვიპტო-ასირიული განათლებისა და მერე ალექსანდრე მაკედონელის მიერ შემოტანილი კლასიკური კულტურისა. ახალი სარწმუნოება გამძინეებული ებრძოდა როგორც ზოროასტრიის მცნებას, ისე კერპთაყვანისმცემლობის კულტს, რომლის სიმბოლოთ განხდარ იყო შეენიერება ბუნებისა და კაცთა ნათესაობისა, ხოლო საგნათ ცხოვრებისა — ამ სოფლის სიტკობება. ქრისტეს სარწმუნოებამ ყოველივე ეს იცნო ფუჭეთ და წარმავალათ; მან კაცობრიობის შეხედულება მიჰმართა საუკუნო ქვემარტებისაკენ და წუთიერი ბედნიერების მაგიერათ გაუღვიმა ერს იმედი უკვდავებისა და მომავლის ნეტარის ცხოვრებისა. ცხადია, რომ ასეთი სარწმუნოებრივი შეხედულობა ვერ იგუებდა ვერც ზოროასტრის სარწმუნოებას, ვერც კლასიკურს ბერძნულ-რომაელ განათლებას. მართლაც ქრისტეს სარწმუნოებამ ყოველივე უძველესი განათლების კვალი ცეცხლითა და მახვილით შემუსრა; არ დააყენა არც ერთი ნაშთი წერილობითი საბუთისა და მრავალ ზეპირ-გადმოცემებს იმ დროისას შემდეგში ქრისტიანული მოძღვრების დალი დასევა. მაშასადამე ქრისტეს წინაღობების კულტურაზე ჯერ-ჯერობით ბერი არა ითქმის რა და თუ კი რამეა იმ საგანზე ამ ჩვენ ახალ დროის ლიტერატურაში გამოთქმული, ეს არის მხოლოთ შედარებითი მოსაზრება და ზოგიერთი ანალიზი ქართული ზეპირ-გადმოცემებისა, რომლებზედაც ვრცლათ აქვს ნაამბობი ა. ს. ხახანაშვილის თავის პირველ წიგნში. რაიცა შეეხება რეაასი წლის ქრისტიანული კულტურის მოძრაობის კვალს საქართველოში, ა. ს. ხახანაშვილი არც ერთ წერილობითს საბუთს ჩრდილში არ აყენებს, სადაც კი გამოჩნატება ქართული გონებითი წინმსვლელობა, ანუ მისი ევოლიუციური წარმატება ქრისტიანობრივ ნიადაგზე.

ამ ხანის ისტორიული ნაშთების ადვილათ გადახედვისათვის ავტორი ოთხ წყებათ დაჰყოფს იმათ. პირველ წყებაში მოუქცევიან ის წერილობითი ნაშ-

თები, რომელნიც შეიცავენ აგიოგრაფიას (წმინდათა ცხოვრებას), მეორეში — ისტორიული თხზულებანი, მესამეში ლიტერატურული ნაშთები და მეოთხეში — მეცნიერული, ღვთის მეტყველური და კანონმდებლობითი სახსოვრები. მთელი საქართველოს ისტორია და ქართული ერის კულტურული დამსახურება კაცობრიობის წინაშე მხოლოთ ამ რეაასი წლის არსებობით აღინიშნება. საქართველოს და ქართველთა ერს ქრისტიანულ ხანაში მხოლოთ მეოთხე საუკუნიდან დაწყებული მეცამეტე საუკუნემდის ჰქონია კულტურული და საკმაო პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ თამარს შემდეგ, მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული, საქართველოს ერი აღარც კულტურულათ არის მოსახსენებელი, აღარც პოლიტიკურათ. უძლეველმა მსოფლიო ევოლიუციამ ამ ერის კულტურული მოძრაობა ამ საუკუნეში შეაჩერა, შეწყვიტა. თვით ერის ცხოვრებას ამას შემდეგ ნიადაგ გადაგვარების ქარიშხალი დაჰზუზუნებდა თავზე, რომლის გამო იგი შეიქნა გონების განვითარებისათვის კარებ დაწული. მისი ისტორია სისხლის ღვრისა, ერთმანეთის წყევტისა და გარეშე ხალხების უღელ ქვეშ მყოფობის მეტს არას მოგვითხრობს. ქართული კულტურის მაჯის ცემა მეცამეტე საუკუნის დამდეგს შეწყდა თითქმის იმ განზრახვით, რომ მხოლოთ მეცხრამეტე საუკუნეში გამოღვიძებულიყო და ისევ დაეწყო ახალი ხანა ცხოვრებისა. მაშასადამე ქართული ერის კულტურულ მოძრაობას სხვა ევროპის ერებისას ვერ შეეუფარდებთ, რადგან ქართული ერის ისტორიული ცხოვრება მეცამეტე საუკუნიდან მოკიდებული მეცხრამეტე საუკუნემდის, ესე იგი მთელი ექვსასი წელიწადი შეჩერებული იყო. იგი გაველურდა, ჩაჯდა სიველურის პარკში და იყო ასე მიძინებული. ამისთვის მას არ ღირსებია ის განვითარება, რაც ევროპის ხალხებს ეწია: ან აღორძინების ხანაში (renaissance), ან რეფორმაციის ხანაში, ან დიდ რევოლუციისაში. ფეოდალიზმის შესუსტება და ვაჭრობის ცენტრების შექმნა და ვაჭართა კლასის თანდათან გაძლიერების მეოხებით დიდი ქალაქების აღორძინება საქართველოს ისტორიამ არ იცის, არ იცის აგრეთვე მან დიდი რევოლუციის მოვლენა, რომელმაც აღადგინა დაჩაგრული, დამონებული და ცხოვრების მიერ დატყვევებული კაცი, არ მოსწრებია მის განთავისუფლებას და არ მიუღია მონაწილეობა მისი პირადი უფლებების აღდგენის ხანაში. მაგიერათ მისი კულტურული წინმსვლელობა რომ მეცამეტე საუკუნეში მონგოლებს და ძლიერ მაჰმადიანთა სარწმუნოების მძლავრობას არ მოესპო, მაშინ ბიზანტია და მასთან საქართველოც თანახმათ უმალღესი გონებრივი განვითარებისა რამდენიმე საუკუნით უფრო აღრე გამოცდიდა ზემოხსენებული ევროპის წარმატებით ევოლუციას და ამის მეოხებით შესაძლებელი იქნებოდა, დღეს მთელი აღმოსავლეთის და დასავლეთის კაცობრიობა რამდენიმე



საუკუნით წინ ყოფილიყო. ასეთი მოსაზრება ძალა-  
უნებურათ მოუვა თავში ყოველ მკვლევარს, ვინც  
გულდასმით შეისწავლის ა. ს. ხაჩანაშვილის ქარ-  
თული სატყევერების ისტორიას. ამას გარდა როდე-  
საც თვალს გადაავლებთ თამარის დროს რაინდულ  
მოთხრობებს, ამ პირმშო წყაროს ევროპის რომან-  
ტიულ პოეზიისას და მასთან კლასიკურ-რეალურ ნა-  
წარმოებს შოთა რუსთაველისას, უნებურათ რწმუნ-  
დებით, რომ რაც ევროპის ერთა გონებას მეჩვედმეტე  
და პირველ ნახევარ მეთვრამეტე საუკუნეში ასაზრ-  
დობდა, ის ქართველ ერს მეთორმეტე საუკუნეში  
უკვე ჰქონებია შეგნებული, შეთვისებული და მონე-  
ლებული.

მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეების ძლე-  
ვა მოსილმა ომიანობამ გამოიწვია საქართველოში ხან-  
გრძლივი მშვიდობიანობა, რომელსაც დიდი გავლენა  
ჰქონდა მუნებური ხელოვნებისა და მეცნიერების გან-  
ვითარებაზე. ძველმა კლასიკურმა ეპოქამ, არაბულ-  
მა და ბიზანტიის კულტურამ კეთილი ზეგავლენა მო-  
ახდინეს საქართველოს ერის გონებას განვითარებაზე.  
ბრწყინვალეთ აყვავდა ქართული ლიტერატურა. თა-  
მარის კარზე მოგროვდა მთელი გუნდი ნიჭიერი მწე-  
რლებისა, რომელთაც უმაღლეს წერტილამდე აღი-  
ყვანეს და განავითარეს ქართული ენა და მისი სატ-  
ყევერება.

აი, ბროსსე როგორ აფასებს მეთორმეტე საუ-  
კუნის კულტურას: „შეათე საუკუნეიდან დაწყებული მე-  
თორმეტე საუკუნის გასვლამდე საქართველოს მოკლეი-  
ნენ გენიოსები, რომელთაც ქართული ენა უმაღლეს სა-  
რისსამდის განავითარეს. ერთი მხრით მოქმედებდნენ საღ-  
ვთო წიქრის მთარგმნელები და მეორე მხრით დიდე-  
ბული ამიანის და ტარაიელის ეპიპატა შექმნილნი.  
ეს საუკუნეები დიდ საუკუნეებთან ითვლება საქართვე-  
ლოსთვის.“

თუ ის აზრი მართალია, რომ ერის განვითარების გან-  
ვითარება მისი ლიტერატურული სტატისტიკით უნდა  
განიზომოს, მაშ საქართველოს ერის განვითარება ამ  
სახეში ძალიან ადვილი შესაგნებია მისი ლიტერატურის  
დონეებით, რომელიც განაყოფიერებს სამ ნაწილად: ღვთის  
მეტყველება, ზოგნა და ისტორია. სასულიერო ლიტე-  
რატურა საკვირველი შუქით გამოეჩინა საქართველო-  
ში. მისთა ყვავილთა კეთილმა სუნელებამ და ფშვინებამ  
დავსო კავკასიის მთა-და-ბარს, მისი სეპეები და უღელ-  
ტისილები. სასამოვნოთ მოსასხენებელნი აწიან შოთა  
რუსთველი, მოსე სონელი, სარგის თოგველი, შავთელი,  
ჩანტყუნი და სსკ. ძალიან ადვილია იმათი ზოგნური ნი-  
ჭიერების სასიამოვნო აღმოჩენა, რომელიც ბრწყინავს  
საკვირველი თავისებურებით. მათი თხზულებებში მოქმედ-  
ნი პირობები აწიან ქართული ცხოვრებიდან გამოქმედ-  
ბული გმირები. მათი აღწერილობა შეესება იმ დროის  
საქართველოს ისტორიულ პირობას და მათ დიდებულ საქ-  
მეთა.“

თამარის დროს ძველი კლასიკური, არაბული ზე

ირანული კულტურა შეერთდა ერთ დიდებულ ნაკადუ-  
ლათ, რომელმაც მიიღო თავისებურობა ნაციონალურ  
ნიადგზე და ამის გამო განვითარდა ქართული უმწვერ-  
ვალესი კულტურა. ამასხით თამარის დროს საქართ-  
ველო ადვიდა უზენაეს პოლიტიკურსა და გონებრივ  
განვითარებამდე. სამწუხაროთ მის სიკვდილს შემდეგ  
ულომბელმა ისტორიულმა გარემოებამ და ქვეყნის  
გამძვინებულმა ქართველობამ საქართველოს ერის  
კულტურა და მისი განვითარების წყარო უფსკრულ  
ბარბაროსულ მორვეში ჩანთქა და გაანადგურა.

მიუცილებლათ ასეთ მალალ განვითარების ხანა-  
ში ქართულ ენას ეყოლებოდნენ თავისი გრამატიკოსები  
და ქართული ენის კანონების მკვლევარნი. აი, რას  
ამბობს ამ საგანზე ა. ს. ხაჩანაშვილი: „ღვთისმეტყველ-  
ბის ლიტერატურამ ქართული ენისამ იწყო განვითარება მეთო-  
რმეტე საუკუნეში მეფის თამარის დროს. პირველი ქარ-  
თველი ღვთისმეტყველი იყო „ღვთისმეტყველი იოანე ჰერონიმი“  
ფილესოფოსი, კანსკვლავთმცნისკველი და ღვთის მეტ-  
ყველი. მანამ მის შრომას, ესე იგი მის ღვთისმეტყველ  
თხზულებას ჩვენამდე არ მოუწევია“. ამ მეცნიერს შემ-  
დეგ, როგორც ჩანს, არავის უზრუნავს ქართულ გრა-  
მატიკის შედგენაზე. ან კი ვინღა იზრუნებდა, როცა  
ქართული ენა მაჰმადიანთა მონობას ქვეშ იხრწებოდა  
და თვით ერიც ველურდებოდა.

მეჩვედმეტე საუკუნეში იტალიელ მისიონერ მაჯიოს  
შეუდგენია ქართული ფორმალური ღრამატიკა; ამავე  
საუკუნეში შეუთხზავს ქართულ-იტალიური ლექსიკო-  
ნი პაოლინის. მეთვრამეტე საუკუნეში უშრომიათ ქარ-  
თული ღრამატიკისათვის ანტონი კათოლიკოსს; ქარ-  
თველ არხივისკოპოსებს ვარლამს და გაიოსს; დაუ-  
წერია აგრეთვე ღრამატიკა სოლ. დოდაშვილს. მაგ-  
რამ ყველა ამ თხზულებებს ისევე ჩუბინაშვილის და  
დიმიტრი ყიფიანის ღრამატიკული შემეცნებანი ჯო-  
ბიან. რაიცა შეეჩება ჩვენ ახლანდელ მწერლებს, რო-  
მელთაც ღრამატიკის ხელსამძღვანელოები შეუთხ-  
ზავთ, არც ერთი მათგანი სახსენებლათ არ ღირს,  
რადგან იმათ ქართული ენის არსებითი განხილვა და  
იმისი თავისებური კანონების შესწავლა რომ ვერ  
მოუხერხებიათ, მხოლოთ ფორმალურათ მიჰყოლიან  
პლატონ იოსელიანსავეთ ბერძნულ-ლათინურ სქემას.  
იმათ შრომას რუსული ენის და გრამატიკას დი-  
დი გავლენა ატყვიათ.

მეცნიერულ ნიადგზე რომ ქართული ღრამა-  
ტიკა შემეუშავდესო — ამბობს ხაჩანაშვილი თავის წიგ-  
ნში — „საჭიროაო შევისწავლოთ ცალცალკე სხვა-და-  
სხვა კუთხის ქართველთა ტომის ენებიო: მეგრული,  
ლაზური ზ სვანური ლაპარაკის კილოები: ფშავური,  
ხევსურული, ინგილოური ზ თუშური; საჭიროაო შევი-  
სწავლოთ იმერული კილოკავები და უძველესი დროი-  
დან მოკიდებული მეთორმეტე საუკუნის გასვლამდის  
არსებული წერილობითი ნაშთები; უნდა დავაკვირდეთ  
შინაგან ხასიათს მაშინდელი ქართული ენისას და ა-  
სახით შევქმნათ ისტორიული ღრამატიკა ქართული



ენისაო. აქამდის ხმარებულ ბერძნულ-ლათინურ სქე-  
მაზე შედგენილი ქართული გრამატიკის მაგიერათ  
უნდა დაწესდესო სხვა ღრამატიკული სისტემა, რომე-  
ლიც შეეფერებოდეს ქართული ენის სულისა და გულს  
და რომელიც გვიხსნიდეს თავისებურს წყობას  
ენისას. აი, მხოლოთ ამ პირობების დაცვით შედგე-  
ნილი ღრამატიკა იქნებაო ცოცხალი ქართული ენის  
შესაფერი ღრამატიკა, რომელსაც მოვლიანო მეცნი-  
ერნი“.\*)

საზოგადოთ ეს მეორე წიგნი ქართული სიტ-  
ყვიერების ისტორიისა, ა. ს. ხახანაშვილის მიერ შე-


\*) მიუჩვენებთ ამ განმარტებაზე იმ ქართულ მწე-  
რალთა უფრადლებას, რომელნიც წამებენ „კვალის“ რე-  
დაქციას ენის უცოდინარობას; სსოლასტიკური წესით შე-  
დგენილი მკვდარი ენის ფორმებს აწიან „კვალს“ და  
თანაც უკვირებენ მის მწერლებს, ქართული ღრამატიკა  
არ იცითო. კვანძს, დროა დაიჯერონ „იკერიის“ და  
„მომამის“ მწერლებმა, რომ ის მკვდარ-შობილი ენა, რომ-  
ელიც უნდა იყოს ისინი წერენ, არ არის ცოცხალი ენის ენა.  
ენის ფორმები ოთხ-კედელში და კოტორკოტორების ოთხ-  
სკესში ერთი და ორი კაცისაგან არ შეითხზის. ენა არის  
ოცნებანიული გუთვნილება ცოცხალი ენისა და ვინც ამ  
ცოცხალ და ადვილ გასაგებ ენაზე წერს. მხოლოთ ის  
ესმის ხალხს და იმას აქვს ნამდვილი თავისებური ღრ-  
ამატიკაც, რომელსაც სსოლასტიკოსები ვერ მიმხვდნან;  
„კვალის“ მიღვეს მხოლოთ უმრავლესი ხალხის ცოცხალ ენას,  
ითვისებს მას და იმ ენითაც წერს. ამ ენას ვერ მცნიაკრულათ  
შემუშავებული თავსებური ღრამატიკა არ მოეძებნა, რომ-  
ელიც შეეინკრათ ამტვირტებს ბ-ნი ხახანაშვილი. მისი ღრ-  
ამატიკა მხოლოთ მომავალში უნდა დამუშავდეს. მას საფუძე-  
ლათ დაედება ძველი განკითხვებული ქართული ენა, რომ-  
ელიც უფროა აუკვებული მეტამეტა საუკუნემდის და  
რომლის ფორმები უცვლელათ შენახულა დასავლეთის  
საქართველოს ენის საშოში. ეს არ არის არც გრიგოლ  
ოცნებანიის სელაგნური ენა. არც ალექსანდრე ჭავჭავა-  
ძის, არც მათი მიმამტველების. ეს არის ნამდვილი ცო-  
ცხალი ენის ენა, რომელიც არ სსტირტებს არავითარ  
სელაგნურათ შეთხზულ ახალმოდურ ღრამატიკულ ფორ-  
მებს; თავისი არსებითი ფორმები თვითონ აქვს და მო-  
ხუხუხებს ანგარა მთის ნაკადულსავით. მასში თქვენ ვერ  
იპოვით ვერც ხაზსულს, ვერც თათრულს, ვერც სომ-  
ხულს და ვერც თფილისულს ენის სიუკებს. იგი აწიის  
გამოთქმისში სელამდგანელობს ცოცხალი ენის ენით და  
უნდას ჭყოფს უკვე სელაგნურ ღრამატიკას, რომლის  
მისევეთ არიან ასლანდელი ქართული სელ-სამდგანე-  
ლოები შედგენილნი და რომელთაც ნამდვილი ცოცხალ-  
ლი ლიტერატურული ენა კი ვერ შეძინეს ახალ თაობას.

გ. წ.

დგენილი, ცოცხლათ ახსიათებს საქართველოს ერის  
კულტურულ მოძრაობას იმ დიდებულ ხანაში, რომ-  
ლითაც არის იგი სახელგანთქმული. რასაკვირვე-  
ლია, შესაძლებელი იქნებოდა უფრო მეტი მასალა  
დაგროვებულიყო ამ წიგნში, იქნება კრიტიკული მხარ-  
ეც ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა და ამა-  
თი ტიპური შესწავლა, ჩვენის აზრით, არ იყოას აქ  
ღრმათ გამოკვეული და საკმ.ოთ დაფასებული, მა-  
გრამ ასეთი მცირეოდენი ნაკულღვეანებანა მინც ვერ  
დაადებენ წუნს ამ თხზულებას და ყოველ შემთხვე-  
ვაში ია დარჩება ძვირფას განძათ ქართულ ისტორი-  
ულ ლიტერატურაში.

გ. წერეთელი.

„ნა, ნა, ნა, რა სულელი ხარ!...“



(ფსისოლოგიური ეტი-  
ული).

თვალეზ გაბრწყინებული, გამხდარი ახალგაზდა და  
თან რამდენჯერმე ყრულ ჩახველა.

— გამოგიტყდები, როგორც ინტელიგენტს, —  
ცოტა ხნის ჩაფიკრების შემდეგ უპასუხა მკურნალმა, —  
საეჭვოა. იქნება ერთს, ან ორ წელიწადს იცოცხ-  
ლოთ. თქვენი თვლტვების გაშიჩჯის შემდეგ, მეტი  
არა მეტქმის რა. მაგრამ ქვეყნიერაბაზედ ზოგჯერ  
ისეთი სასწაულთ მოქმედობა ხდება, რომ თქვენი-  
სთანანი კი არა, სიკვდილის პირას მისულნიც კი  
განკურნებულან,

— მგონი, პატივ-ცემული მკურნალო, ჩემ და-  
სამშვიდებლად და გასამხნეებლად დაუმატეთ ეგ „მა-  
გრამ და სხვა...!“ — მწარის ლიმილით დაეკითხა ახალ-  
გაზდა.

— თითქმის! — შუბლის შემკუხენით უპასუხა  
მკურნალმა.

— მაშ ერთისა ან ორი წლის სიცოცხლე და  
მაქვს, არაა?!..

— აკი გითხარით!.. ისიც იმ პირობით, თუ  
მყუდროდ, ძალიან მყუდროდ იცხოვრებთ.



— ახ, რა ბედნიერი ვიქნები!...—დაცინვით წამოიძახა და კიდევ ყრუდ ჩაახველა.

— რაო?! ვერ გაგიგე თქვენი „ახ!“

— არა, ისე!.. მაშ მყუღროდ, ძალიან მყუღროდ რომ ვიცხოვრო, ორ წელიწადს ვიცოცხლებ?..

— დიალ!

— ეს მყუღროება რაში მდგომარეობს?...

— ხომ გითხარით: სასმელს ვერიდეთ, ნურა გვარ გრძობათა ღელვას ნუ მიიკარებთ, თუნდ სიყვარულსაც; ნამეტნავად ამ უკანასკნელს ვერიდეთ.— ცოტა წყენით უპაუხა მკურნალმა და სახის მოძრაობით ანიშნა, რომ დროა მოჰშორებოდა.

— უკაცრავად, მკურნალო, ეხლავე წავალ— უთხრა ზიზლით და განაგრძო: იმ ორ წელიწადს ჩემი სიცოცხლე რას ემგზავსება?...

— ვერ გამიგია თქვენი კითხვა!

— რისთვის უნდა ვიცოცხლო, თუკი ცოცხალი მკვდარს დავემგზავსები?..

— როგორ თუ მკვდარს?.. განა თქვენ არ იცით, რომ თითო წამშიაც კი მთლად თავის საცხოვრებელს მისცემენ, თუკი მომაკვდავთ სეცოცხლეს განუგრძელებენ!...

— მხოლოდ იმ პირობით, თუ იმ წუთს სიამოვნებაში, მოქმედებაში გაატარებს და არა ჩემსავით ცოცხალი უკანასკნელ წუთებამდის მკვდარს დავემგზავს.

— განა თვით სიცოცხლე სიამოვნება არ არის?

— რომ უმზიროს, სხეები როგორ სიამოვნებენ და ის კი... მშვიდობით!... გმადლობთ!..

— მო, მარო, — ხელი მომეცი. ჰო, ვერე. ეხლავე რომ სული ამომძვრეს, ბედნიერი ვიქნები! ეს გრძობა წამყვება თან, ეს!...—იძახდა ახალგაზდა და თან მაგრად, მაგრად ეკონებოდა მაროს ხელს, რომელიც ჩუმად ცრემლს აფრქვევდა.

— ეფრემ, გენაცვა, რატომ...—ველარ დაათვა სიტყვები. გული ყელში მოებჯინა, და, რომ თავისი ქვითინი დაემალა, ეფრემის შუბლს დააკვდა.

— ოხ, ნეტარებაჲ!.. ათი წლის სიცოცხლეც რომ მქონდეს, ამ ერთ წუთში მივცემდი! ჰა! ჰა!.. შედეგ, გულო, ჯერ აღრე! ჯერ... ოხ!.. გინდა ბუდიდგან გადმოვარდე?.. ჰაა?..—ხელი გულზედ იტაცა და საშინლად გაუთრდა.

— წყალი!..—წამოიძახა მარომ და იქ მსხდომ ეფრემის მეგობრებს თვალები მიაყრდო, რომლებიც ნერწყვ გამშრალნი შესცქეროდნენ ეფრემს და მაროს.

მაროს სიტყვებზედ ერთი მათგანი წამოვარდა და საჩქაროდ წყალით ხელში თავს დაადგა.

— მარო, მომეცა, მე მოეუელი. შენ მოერიდე.—ჩუმად წასჩურჩულა ეფრემის ამხანაგმა და წინ წადგა.

— არას დროს, თუნდაც ეხლავე სული ამომხ-

დეს. უკანასკნელ წამებს ვერ გაეუმწარებ.—უპასუხა მარომ და თან შუბლი უპკურა.

ცივი წყალის ზედ გავლენით გონება მოუბრუნდა ეფრემს. გაცრიაგებული თვალები გადაატრიალგადმოატრიალა, და სიამოვნების ცრემლები გადმოსკდა.

— ბედნიერი ვარ!.. ჩემ საყვარელთ ეხედვ!.. მარო, თითქოს გიტყინაა?!.. რა იყო?.. მე ხომ კარგად ვარ?.. მაშ რა გაჯირებს?!..—დაეკითხა ეფრემი და მაროს ხელი ტუჩებთან მიიტანა.

— ბუნება, გინდოდა ცოცხალი მკვდარს დავემგზავსებინე, მაგრამ ვერ მოახერხე!.. მე... ჰა, კიდევ?!.. ბარემ გადმოვარდი ბუდიდგან და... ღვინო შემასვიო!...

— ეფრემ, ხომ თავს იწამლავ მაგ საქციელით და საცოცხლეს ისწრაფებ?!—უთხრა ერთმა ამხანაგთაგანმა მზურნელობით და წითელი ღვინოთ საფეჭქა მიაწოდა.

— მწარე შხამს ტკბილით ვაზავებ. მინდა... კიდევ დამისხი!—ოჰო!.. ჩემი გული ფერხულში კიდევ ებმის. ხტუნაობა მოჰსურვებია. ჰა, დაიწყე!.. ჩემო მარო, ნუ შესწუხდები!.. მე... მომეცი ღვინო!

— ეფრემ, გეყოფა!..—ჩასძახა მარომ და ხელი შუბლზედ გადუსვა.

— ეგრე... ეგრე!.. მსურს ამაღამ გრძობით დავითერო. ჯერ არ მეყოფა... მომეცი ღვინო!.. ჯერ ხომ აღრეა?.. იქმნება გეძინებათ კიდევაც?!.. ძილს მოესწრობით, ვისიამოვნოთ!.. ახ, რა გრძელდება ეს ლამე?!.

— რა დაემართა, რომ მაგრე ლაპარაკობს?..—ჩუმად წასჩურჩულა ამხანაგმა მეორეს და წითელი ღვინოთ საფეჭქა მიაწოდა.

— რა მეჯავრება წყელიადი ლამე!.. ნეტავი, ჩქარა მაინც გათენდეს!.. არა თენდება?!.. მაშ გაუმარჯოს დღის სინათლესა!.. აჰა, ჩამომართვი! კარგი ღვინოა... რატომ თქვენ კი არა სვამთ?.. მარო, ნუ მომშორდები!..

— არ—მოგშორდები, გენაცვა, არა!..

— გეყურებათ?!.. მამალი ყივის... ოხ, ნეტარებაჲ!.. დღის სინათლეს კიდევ ვიხილავ... მაგრამ...—უეცრივ აჩქარებული სუნთქვა დაიწყო, საშინელი დაბალი ღმუთილი მორთო, და ტანმა მთლად თრთოლა დაუწყო.

— ეფრემ, ეფრემ!..—ჩასძახოდნენ მაროსთან ერთად ეფრემის ამხანაგები, მაგრამ ეფრემს არა ეყურებოდა რა.

— გენაცვა, ეფრემ, შენს მაროს აღარ გინდა შეჭხედო?!.. ეფრემ!.. ვაი, მე ბედ-შავს!..

— უუ!.. უუ!.. უუ!.. ღმუთოდა ეფრემი და თან კანკალებდა.

— რამ შეგაშინა?! ნუ გეშინიან, ჩემო ეფრემ, ჩვენ აქ არა ვართ?!..—ტირილით ეუბნებოდა მარო და აღარ იცოდა, როგორ მოეელო...



— მარო... მარო... ნუ მომზორდები!.. — ღმუი-  
ლით წამოიძახა ეფრემმა და უეცრივ ხველა აუვარდა.

— არ მოგზორდები გენაცვალე, არა და არა!  
აი, შენი ამხანაგებიც აქ არიან!.. ნუ გეშინიან!.. რა-  
თა ჰკანკალებ?! შექომხედე, გენაცვალე, შენს მაროს  
ველარა სცნობ?!..

ეფრემი უაზროდ ატრიალებდა ბინდ ვადაკრულ  
თვალის კაკლებს და მაროს ხეწწნას ყურადღებას არ  
აქცევდა.

— ნუ ჰკანკალებ, ეფრემ!.. — ჩასძახა ერთმა ამ-  
ხანაგმა და ხელი დაუჭირა.

— უუუ!.. უუ!.. — ეფრემმა ისევ წაიღმუელა,  
და ტანის თრთოლამ მოუმატა.

— ოხ, რა საშინელი წამებია!... წამოიძახა ისევ  
იმ ამხანაგმა და გარედ გაეპარდა.

უმთავრო ცაზედ ვარსკვლავები ცელქობდნენ  
და მიძინებულ დედა-მიწას თითქოს დასცინოდნენ,  
რომ სიცოცხლით არ საზღებლობსო.

ეფრემის ამხანაგმა გამოსვლის უმაღ ცას გა-  
დაელო თვალი და, თავის და უნებურად, წამოიძახა.

— ცაე, შენზედ ადამიანის მწუხარება არ მოქ-  
მელობს?!..

— ხა, ხა, ხა, — რა სულელი ხარ!.. — ჩამოჭ-  
კისკისეს ზეცით ეარსკვლავებმა.

შ. ანაკეისპირელი.

დ. სურამი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმოწინაღობით გთხოვთ მისცეთ  
ადგილი თქვენ ჰატივ-ცემულ გაზეთში შემდეგ წერილს:  
„კვალის“ მე-15 ნომერში წერილი ქუთაისიდან  
(ეფთიანის და გელეიშვილის საქმე) მოთავსებულია შე-  
ძლები სიტყვები: ოფისის სასამართლოში განსაკუთრებით  
უუკადგობა მიეცია ეფთიანის გეგილმა ფაღვამ თავისი  
გადაწყვეტებით სტუდენტების წინააღმდეგ. სტუდენტების  
მოწმობა სანდო არ არის, ისინა პარტიის ხალხია და  
ტყუილს იტყვიანო, ხოლო სტოროფი წერეთლის  
მოწმობა კი გაცალებით უფრო სარწმუნოაო.

ძნელი დასაჯებელია, რომ ამ გვარი აზრი იქა-  
ნიას ახალგაზდობას, ნამეტურ სტუდენტობაზე და  
საჯაროთ გამოთქვას ეს იმ პირმა, რომელსაც მიუღია  
უმაღლესი განათლება და თვით ეფთიანს სტუდენტთ.  
გასაგვირგვლი და გაუგებარია, რომ ადამიანს არა თუ  
ნასწავლმა, გაუნათლებლმა და უგუნურობა კი. ამას შემ-  
დეგ არა მგონია, რომ ჩვენი მშობლები ეტადონ  
თავიანთ შვილებს ასწავლან და ან შენატრო იმ დროს,  
როდესაც მათ შვილების სტუდენტობა ედიხებათ. რა-

კი ფაღვამ სტუდენტობაზე ამგვარი აზრის ეფთიანს  
ეგრე გიცხაკს რათ, უთუოთ ის თავის შვილს სტუ-  
დენტობას არ უჩივოს.

მე დაწმუნებული არა ვარ რომ, რაც სიტყვა-  
ბი „კვალის“ მოუვანილი, დიზლომიან — ნასტუდენტარ  
ფაღვას ეკუთნოდეს. უთუოთ ეს გორკესზონდენტის  
გადაჭრებუას ან მოგონება, ვერც მე და ვერც სხვა, ვინც  
არ დასწრებია თვითონ ფაღვას ღამაჩვენებულს სასამარ-  
თლოში, ვერ ვერ ვიტყვით ნამდვილს, ან წინააღმდეგ,  
თუ მართალია. და ამისთვის ვთხოვ ბ. ანაკეისპირელს  
გამაჩვენოს უფრო გრძელათ და დამე. ეფთიანს  
ტებით ფაღვას მიერ თქმული სიტყვები. სტუდენტების  
შესახებ, რადგან ეს ჩვენთვის საჭიროა.

აგრეთვე უმოწინაღობით ვთხოვთ ბ. ფაღვას სა-  
ჯაროთ გამაცხადოს რომელსავე ქართულ გაზეთში, თე  
რომ ის არ ეთანხმება „კვალის“ გორკესზონდენტის სი-  
ტყუებს, რომ ის არ შესუბია სტუდენტობას და არც  
ცუდათ უსსენებია ის ქუთაისის ოფისს სასამართლოში  
ეფთიანის საქმის გაჩივების დროს; თუ არა და იმუ-  
დებული ვიქნებით ტემპარატით ვინათ ვკვალის გორკეს-  
ზონდენტის სიტყვები.

სტუდენტი ვიოტკი დოდობერიძე 1)

საჩუკავი.

P. S. უმოწინაღობით ვთხოვ სხვა ქართულ  
ეფრნად გაზეთების რედაქციებს გადაუტყდონ ეს წერილი  
თავიანთ გამაცხადებაში.

ქართული თეატრი.

ხუთშაბათს, 19 ნოემბერს, 1898 წ.

ქართული დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან,  
კ. ეფთიანის მონაწილეობით  
წარმოდგენილი იქნება:

„ალერსთა ბადე“

კომედია ოთხ მოქმედ. პ. უმიკაშვილისა.

და  
„მ ე ფ ე და პ ო ე ტ ი“  
ნათარგ. ფრანგულიდან.

1) დაკაწმუნებთ ბ. დოდობერიძეს, რომ ის წე-  
რილი, რომელსედაც აქ ღამაჩვენია, სრულიად სანდო პირი  
საგან არის გამოგზავნილი. და, საზოგადოათ, ასეთ ამბებს  
ჩვენ არასოდეს არ ვებუტდეთ „კვალში“ თუ კი მათ ავტორს  
არ ვიცნობთ და სანდო პირათ არ მიგვაჩინია.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლის.